საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 5 მარტი. 2020 წ. №40 (8966) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

კ. ზედ მოძეგლისაგან

უმადურობასა და თვითგვემაში ჩაკარგულები ვერ ვაფასებთ, თუ რამდენ წარმატებას მიაღწია საქართველომ...

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ყოველწლიური მოხსენება საქართველოს პარლამენტში

მეორედ მაქვს დიდი პატივი, მივმართო საქართველოს პარლამენტს და საზოგადოების თითოეულ წევრს. როცა ამ მიმართვის მთავარ გზავნილზე ვფიქრობდი, ვარჩიე, არ მელაპარაკა ჩემ მიერ გამოცხადებულ, ყველასთვის უკვე ცნობილ პრიორიტეტებზე და ჩემს მუდმივ საზრუნავზე: კულტურაზე, რეგიონებზე, დიასპორაზე, ბავშვთა ონკოლოგიაზე... ვარჩიე, მელაპარაკა დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევაზე, მის მომავალზე.

თითქმის 30 წელი გავიდა, რაც საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობას დამოუკიდებელ ქვეყნად დაუბრუნდა.

30 წლის შემდეგ, ზოგჯერ გვიჭირს დავინახოთ, თუ სად ვართ; შევაფასოთ ჩვენი რეალური შესაძლებლობები და ჩვენ წინ გაშლილი ახალი პერსპექტივები.

იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ, სად ვართ და საით მივდივართ, პირველ რიგში, უნდა დავინახოთ მსოფლიო და ჩვენი ადგილი ამ მსოფლიოში.

მსოფლიო, რომელსაც საქართველო 30 წლის წინათ კვლავ დაუბრუნდა დამოუკიდებელ ქვეყნად, დღეს სრულიად სხვა მახასიათებლების მატარებელია.

საქართველომ, რომელმაც 70 წელი ჩაკეტილ საბჭოთა საზღვრებში, დანარჩენი მსოფლიოსგან მოკვეთილმა, სრულ იზოლაციაში გაატარა, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში მსოფლიოსთან დაბრუნების ახალი გზა გაიარა.

დღეს ჩვენმა მოქალაქეებმა, პრაქტიკულად, მსოფლიოს ყველა კუთხეში დაიმკვიდრეს თავი; საზღვრები ღიაა ჩვენთვის, ჩვენი საზღვრები კი – სხვისთვის, და, რაც მთავარია, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ჩვენგან დამოუკიდებლად, ხოლო ჩვენთან მიმდინარე მოვლენები – მსოფლიოსგან დამოუკიდებლად ვეღარ მოიაზრება.

დღევანდელი გამოწვევები მხოლოდ ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე აღარ ვლინდება და არც ერთი ქვეყნის საზღვრებით შემოიფარგლება. დღეს ყველა დიდი გამოწვევა გლობალურ მასშტაბს იძენს და არავინ იცის, სად ამოფეთქავს და სანამდე გავრცელდება. ამის უახლესი მაგალითია ახალი ვირუსული დაავადება, რომელიც ჯანდაცვის ფარგლებს სცილდება და უკვე ფინანსური და ეკონომიკური შედეგებით იზომება.

უმუშევრობის, განსხვავებული აზრისა და რწმენის შიში პირდაპირ კვებავს პოპულიზმს, რომელიც ხან საზღვრების ხელახლა გამკაცრებას ქადაგებს, ხან – კედლების აღმართვას.

ჩვენ თვალწინ ახალი საერთაშორისო ურთიერთობები ყალიბდება ამერიკას, ევროკავშირსა თუ რუსეთს შორის, ახლო აღმოსავლეთსა თუ შორეულ აზიაში. გუშინდელი მტრები დღეს მოლაპარაკებებს იწყებენ, ან – პირიქით. ამ ახალი ურთიერთობების განმსაზღვრელი არის სრული პრაგმატიზმი – ანუ საკუთარი ქვეყნის ინტერესები, რასაც არც ერთი იდეოლოგია აღარ ნიღბავს.

მსოფლიოს მძლავრი ცვლილებები ჩვენზეც ისახება.

დღევანდელი ევროკავშირი, ბრექსითისა და გაერთიანებული სამეფოს გასვლის შემდეგ, აღარ არის და აღარ იქნება ისეთივე ევროკავშირი, როგორიც, თუნდაც, სულ რამდენიმე წლის წინათ იყო – როცა საქართველო შეუდგა პარტნიორობისა და ასოცირების გზას.

ევროკავშირი, საკუთარი კრიზისის ფონზე, ჯერ ვერ ყალიბდება, თუ რა ფორმა მისცეს მომავალ ურთიერთობებს თავის უახლოეს მეზობლებთან (კანდიდატ თუ ასოცირებულ ქვეყნებთან), რომლებიც გაწევრიანებისკენ ილტვიან; რა ფორმით უპასუხოს ჩვენს მოლოდინებს; არ შეაჩეროს ძრავა, რომელმაც, გაფართოების პოლიტიკის სახით, ყველაზე დიდი გამარჯვება მოუტანა თვით ევროპას და მის ახალ წევრებს.

ჩვენი რეგიონის ირგვლივ არ ცხრება კრიზისები, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლება მასშტაბურ კონფლიქტში გადაიზარდოს.

ამავე დროს საქართველოს წინაშეა საკუთარი, უმძიმესი გამოწვევები:

ოკუპირებული ტერიტორიები, სადაც, საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს ყოველდღიურად ირღვევა ადამიანის უფლებები; რუსეთის პოლიტიკა, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობასთან კვლავინდებურად შეუგუებელია და მეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელს უშლის. ბოლო პერიოდში გაჩნდა ჩვენთვის ახალი და მძიმე გამოწვევა – მიგრაციის უწყვეტი ტალღა, რომელიც ისედაც რთულ დემოგრაფიულ მდგომარეობას უფრო ამძიმებს.

გლობალური და საკუთარი გამოწვევების ფონზე ისმის კითხვა: სად ვართ ამ დროს ჩვენ?

იმის მაგივრად, რომ ერთად, ყველა ჩვენი ძალითა და რესურსით ვფიქრობდეთ ქვეყნის მომავალსა და ამოცანების დაძლევაზე, გაბედულად ვეძებდეთ გამოსავალს, ახალ თაოსნობას თუ იდეას, გაჩერებული ვართ და წრეზე ვტრიალებთ.

ერთობის ნაცვლად, ჭარბობს აგრესია, სიძულვილი, შური, შეურაცხყოფა – ყველაფერი, რაც საზოგადოებას ნაწილებად შლის; ყველაფერი, რაც ხელს გვიშლის გამოსავლის პოვნასა და წინსვლაში.

იხ. 2 გვ.

გრიგოლ რუხაძე:

მოთმინებასაც საზღვარი აქვს

4

ქართველი ხალხი ნაცურ რევოლუციას მხარს არასოდეს დაუჭერს!

რამაზ საყვარელიძე:

მმართველ გუნდს უმრავლესობის მოპოვება არ გაუჭირდება, ხმებით ოპოზიცია ამარაგებს

3

ვახტანგ მაისაია:

საარჩევნო ავტორიტარული შხამით მოწამლული 15 პროცენტის არსებობა არ უნდა გაგიკვირდეს

6

ქართული კულტურის აღიარებული ელჩი

მილოცვები აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ცნობილი ფილოლოგი და მთარგმნელი ინესა მერაბიშვილი დღეს იუბილარია. იგი არის ოცი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიკაცია, მათ შორის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

ენათმეცნიერებაში მისმა კონცეფციამ სემური ანალიზის, ლინგვისტური ხატის გამოყოფისა და ახალი სემანტიკური სამკუთხედის შესახებ ფართო საერთაშორისო გამოხმაურება და აღიარება პოვა და 2018 წელს ნიუ-იორკის ლინგვისტურმა ჟურნალმა ამ თეორიის ავტორი ინესა მერაბიშვილი რედკოლეგიის წევრად აირჩია.

იხ. 5 გვ.

უმადურობასა და თვითგვემაში ჩაკარგულები ვერ ვაფასებთ, თუ რამდენ წარმატებას მიაღწია საქართველომ...

(პირველი გვერდიდან) აგრესიამ, სიძულვილმა, შეურაცხყოფამ შეცვალა ქართულ ღირებულებათა სისტემა. მივიღეთ აგრესია – შემწყნარებლობის ნაცვლად; სიძულვილი – სიყვარულის ნაცვლად; შეურაცხყოფა – ზრდილობის ნაცვლად; ეგოიზმი და კარჩაკეტილობა -– სოლიდარობის ნაცვლად; შიში – ტრადიციული სიმამაცის ნაცვლად. ღირებულებები, რომლებიც ქართული კულტურის წიაღიდან, ქრისტიანობიდან, რუსთაველიდანაა ამოზრდილი, დღეს მთლიანად ან თითქმის მთლიანად უარყოფილია. საზოგადოება ერთგვარ დეპრესიაშია. ჩვენ საკუთარ თავს ვეღარ ვცნობთ.

ეს, ძირითადად, იმიტომ გვემართება, რომ ჩაძირული ვართ საკუთარ თავში, პოლიტიკურ ციებ-ცხელებაში. სიძულვილს, შეურაცხყოფასა და აგრესიას მიაქვს ჩვენი ენერგია.

რა ვიღონოთ?

პირველ რიგში, ჩვენ გვჭირდება საკუთარი თავის დანახვა და შესაძლებლობების რეალურად შეფასება.

უმადურობასა და თვითგვემაში ჩაკარგულები ვერ ვაფასებთ, თუ რამდენ წარმატებას მიაღწია საქართველომ გოლო ათწლეულების განმავლობაში.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან არ გასულა 30 წელი და უკვე ვდგავართ ევროპის კართან, როგორც მოწინავე ასოცირებული წევრი.

როცა რეფერენდუმის შედეგებსა და სამფეროვანი დროშის აღმართვას ვზეიმობდით, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, რომ, ისტორიისთვის ამ მოკლე პერიოდში, საქართველო ევროკავშირთან თავისუფალ მიმოსვლასა და თავისუფალ ვაჭრობას მიაღწევდა და გახდებოდა ნატოსათვის ერთ-ერთი ყველაზე სანდო და დაფასებული პარტნიორი.

ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარდებოდა ისეთი მასშტაბის ნატოს წვრთნები, როგორიც უკვე ყოველწლიურად იმართება, და ისეთი მნიშვნელობისა, როგორიც წელს იგეგმება.

ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებდა არა მხოლოდ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, არამედ ამ მისიებში სამხედრო პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის მაღალი დონით გამორჩეული გახდებოდა.

დღეს ჩვენი ქვეყნისთვის გამოცხადებული დიდი ნდობის დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ მიღებული საქართველოს მხარდამჭერი აქტი.

30 წლის წინ ვერ წარმოვიდგენდით, რომ საქართველო გახდებოდა ღირსეული წევრი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც დღეს რეგიონალურ თუ გლობალურ გამოწვევებს უმკლავდება. ზოგჯერ თუ გვაკრიტიკებენ, ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ საქართველო ერთ-ერთ მოწინავე პარტნიორადაა მიჩნეული, რომლისგანაც, ბუნებრივია, მოლოდინიც მეტია.

ამ ყველაფერთან ერთად, გავიარეთ ყველა საფეხური დემოკრატიის მშენებლობისა. გამოვირჩევით შეუზღუდავი სიტყვის თავისუფლებით, პოლიტიკური და ადამიანის უფლებათა დაცვით, თუმცა, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს. დემოკრატიის ერთ-ერთი დამახასიათებელი სწორედ ისაა, რომ რეფორმების ბოლო ტალღა ყველაზე რთულია, და რომ არც ერთი მიღწევა საბოლოოდ არაა გარანტირებული. ამიტომ სჭირდება დემოკრატიას გაფრთხილება და ერთიანობა. დღეს მისი მთავარი მტერი როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში, პოლარიზაციაა, პოლარიზაცია, რომელიც კრიტიკას უხეში დაპირისპირებით ანაცვლებს. ამის გამო დღეს აქ ოპოზიციის ცალკეული რიგები ცარიელია, ნაცვლად იმისა, რომ ახლახან შემოღებული საპარლამენტო სისტემის უპირატესობა გამოვიყენოთ და ეს ადგილი მნიშვნელოვანი დებატების ადგილად ვაქციოთ.

აქვე მინდა, შევეხო სასამართლო რეფორმის პროცესს. ამ რეფორმამ ბოლო წლებში ოთხი უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. ზოგი სამართლიანი და ზოგიც – პოლიტიკურად მოტივირებული კრიტიკის მიუხედავად, პროგრესი უდავოა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში მკვეთრად შემცირებულია საქართველოდან მიმართვიანობა, რომელიც წარმოადგენს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ერთ-ერთ – თუ არა ერთადერთ – ობიექტურ კრიტერიუმს. ასევე უდავოა, რომ ჩვენი სასამართლო სისტემა ჯერ ვერ შეედრება ევროპის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ და დახვეწილ სასამართლო სისტემას. ეს, ალბათ, გასაკვირიც არ უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ, საიდან მოვდივართ. ამიტომ მოსამართლის დამოუკიდებლობა და სასამართლო სისტემის საზოგადებრივი ნდობის გაზრდა ქვეყნისთვის კვლავ პრიორიტეტად რჩება. ამ კუთხით იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმის სწრაფი და სრული იმპლემენტაცია გვისახავს გზას მომავლისკენ.

ჩვენი ღირებულებები უძველეს ქართულ კულტურაზე დგას. სამწუხაროა, რომ ამ უძველესი კულტურის პატრონმა ერმა თითქოს დავივიწყეთ, რა არის კულტურა სინამდვილეში.

კულტურა ხომ არც სხვადასხვა შემოქმედებითი დარგის ერთობლიობაა და არც გართობის ინდუსტრია. ღირებულებები, რომლებსაც ახლა ასე ვივიწყებთ, ქმნიდა იმ უნიკალურ ქსოვილს, რომელმაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში გააძლებინა.

ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენს კულტურასთან ერთგვარმა გაუცხოებამ მისცა გასაქანი საზოგადოებაში შიშსა და უნდობლობას, შეთქმულების თეორიებს თუ სიძულვილის ენას, ჩვენი კულტურისთვის სრულიად უჩვეულო მოვლენას – ძალადობას ქალთა მიმართ.

გაუცხოების შედეგია რწმენისა და ეკლესიის შელახვის მცდელობები. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც თავისუფლება სუფევს, ყველას აქვს აღმსარებლობის არჩევანის უფლება, თუმცა არავის აქვს უფლება, შელახოს ინსტიტუტი, რომელზეც იდგა და დგას საქართველოს დამოუკიდებლობა და ერთიანობა.

ჩვენი ტრადიციული ღირებულებები: შემწყნარებლობა, ზრდილობა და სოლიდარობა სწორედ ის ღირებულებებია, რომლის წყურვილიცაა დღევანდელ მსოფლიოში.

სოლიდარობის გარეშე მსოფლიო ვერც ერთ დიდ გამოწვევას ვერ გაუმკლავდება.

შემწყნარებლობას ალტერნატივა არა აქვს – ეს იყო გზავნილი ჰოლოკოსტის სამოცდამეთხუთმეტე წლისთავის აღსანიშნავ ფორუმზე, სადაც 43 ქვეყნის ლიდერები იყვნენ შეკრებილი. საქართველოს შემწყნარებლობის საკუთარი ტრადიცია გააჩნია, რომელიც უნდა გადავარჩინოთ და მსოფლიოს შევთავაზოთ.

თუ სწორად შევაფასებთ განვლილ გზასა და ჩვენს შესაძლებლობებს, საქართველოს აქვს ჯერაც გამოუყენებელი პოტენციალი საერთაშორისო არენაზე.

ევროკავშირსა და ნატოში ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი არა მხოლოდ არსებულ პროგრამებში მონაწილეობით, არამედ ჩვენი ინიციატივებისა და ახალი იდეების წარდგენით. კიბერუსაფრთხოება, უსაფრთხო შავი ზღვა და მისი ცენტრალურ საკომუნიკაციო არეალად გადაქცევა ასეთი საკითხებია. გაწევრიანებასთან ერთად, ჩვენი მიზანია, დღეს ნატოსა და ევროკავშირში უფრო აქტიურ მოთამაშედ ვიქცეთ.

თუ სწორად შევაფასებთ განვლილ გზასა და ჩვენს შესაძლებლობებს, გამოწვევებთან გამკლავებასაც შევძლებთ.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სამშვიდობო ნაბიჯები გადავდგით, მაგრამ ამ ნაბიჯების მიღმა უნდა მოვემზადოთ უფრო საფუძვლიანი პოლიტიკის განხორციელებისთვის. აფხაზებსა და ოსებს მომავლის პერსპექტივა უნდა დავანახოთ, რომელიც იქ ნამდვილად აღარ ჩანს – პერსპექტივა ერთიან სახელმწიფოში; პერსპექტივა, რომელიც საფრთხეს კი არ შეუქმნის მათ, არამედ გზას გაუხსნის ევროპისკენ, ანუ – კეთილდღეობისკენ. გზას საკუთარი ენისა და კულტურის გადარჩენისკენ, თვითმყოფადობის გამყარებისკენ.

თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი პერსპექტივის შექმნა და დეოკუპაცია ერთმანეთისგან ვერ გაიმიჯნება.

თუ რუსეთი ოკუპაციას იყენებს იმისათვის, რომ საქართველო თავისი გეზიდან გადაიყვანოს და მიზანზე უარი ათქმევინოს, ეს შედეგი ვერ იქნება მიღწეული. თუ მისი მიზანია, საქართველოსთან და მთელ რეგიონთან ახალი მეზობლური ურთიერთობები დაამყაროს, ეს ყველას ინტერესშია. მაგრამ ახალი ურთიერთობა მოითხოვს სუვერენული სახელმწიფოსა და მისი თავისუფალი არჩევანის პატივისცემას. მოითხოვს დეესკალაციას. მოითხოვს დეოკუპაციას.

ჩვენ კი, ალბათ, გვჭირდება ახალი ნაბიჯების გადადგმა და ჩვენი პოზიციების წარმოჩენა ჩვენს პარტნიორებთანაც და რუსეთთანაც. და ეს ხაზგასმით უნდა ითქვას და გავიგოთ: ეს ნაბიჯები არც დათმობას ნიშნავს, არც შეგუებას და, მით უმეტეს – გარიგებას. ნებისმიერი საკითხი, რომელიც ძალადობრივი გზით ვერ და არ გადაწყდება, მოითხოვს გონიერებას, გამბედაობასა და წითელი ხაზის გავლებით წინსვლას, და, რაც მთავარია, საზოგადოების ერთსულოვნებას.

როცა ვიცით, რომ მავთულხლართების ყოველი გადმოწევა და ყოველი პროვოკაცია საოკუპაციო ხაზზე მიზნად ისახავს ჩვენს გამოწვევას, არ შეიძლება, ოკუპაციის საკითხი გამოყენებული იყოს შიდა ვიწრო პოლიტიკური მიზნებისთვის. არ შეიძლება, ერთმანეთს ბრალს ვდებდეთ არასათანადო რეაგირებაში.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, რომელიც ასეთი გამოწვევის წინაშე დგას, პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება ერთი მიზნის ირგვლივ ერთიანდება.

მიგრაცია ამ ეპოქის დიდი გამოწვევაა და ჩვენ იგი განსაკუთრებით მტკივნეულად გვეხება. იგი არ არის გამოწვეული – როგორც ჩვენ გვგონია – მხოლოდ უმუშევრობით. კარგად ვიცით, რომ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია უმუშევრობის დონე, მაგრამ, ამავე დროს, პროფესიონალების დეფიციტია, პრაქტიკულად, ყველა სფეროში. ამ ორი ტენდენციის ერთგვარად დაბალანსება, ანუ პროფესიონალიზმის ამაღლება და საკუთარი ძალების მოზიდვა უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანი. გვჭირდება დიასპორასთან უწყვეტი კავშირი და არა იქ ჩვენი ვიწრო პოლიტიკური დაპირისპირების გადატანა. ხომ ცხადზე ცხადია, რომ სოციალური მდგომარეობის გარდა, მიგრაციის ერთ-ერთი მკვებავი სწორედ აგრესია, შეურაცხყოფა და სიძულვილია. სწორედ ეს აგრესიაა, რაც ჩვენს ახალგაზრდებს აქედან წასვლისკენ უბიძგებს.

ჩვენი მომავალი არის ძლიერი, მშვიდობიანი, დემოკრატიული, გაერთიანებული საქართველო. ეს, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ უნდა დავძლიოთ დღევანდელი მტკივნეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ამას სჭირდება მეტი ინიციატივა და მეტი სოლიდარობა ეკონომიკაში. ულტრალიბერალიზმის მახინჯი ფორმები ყველგან, და მათ შორის ჩვენთანაც, გადაფასებას ითხოვს. ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რაც ჩვენთვის ბუნებრივი და ტრადიციულია: ესაა შემოქმედებითი წარმოება – რისი მაგალითიც ღვინის წარმოებამ უკვე მოგვცა და რომელსაც დღევანდელ მსოფლიოში უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ამ ახალ ეკონომიკურ საწყისებში ჩვენი დიასპორის ჩართვა აუცილებელია, და ამისათვის ახალი ფორმები უნდა მოინახოს.

ახალ ეკონომიკაში არ უნდა დავივიწყოთ ერთ-ერთი მთავარი ქართული ღირებულება – სოლიდარობა; სოლიდარობა თაობათა შორის, სოლიდარობა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. ეს არის განვითარების ის გზა, რომელიც საქართველოს საქართველოსთან დააბრუნებს.

დაბოლოს, ამ სიტყვას ვერ დავამთავრებ ისე, რომ არ შევეხო საარჩევნო სამზადისთან და შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კონსტიტუციით დადგენილი ჩემი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, მე არ ვაპირებ პოლიტიკურ ჭიდილში ჩაბმას; არც ერთ მჭვავე პოლიტიკურ საკითხზე პირადი პოზიციის დადასტურებას. არა იმიტომ, რომ საკუთარი მოსაზრება არ გამაჩნია, ან ვინმეს მეშინია, არამედ იმიტომ, რომ მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და ზეპარტიული პრეზიდენტი პარტიებსა და საზოგადოებას საკუთარ აზრებს მთავს არ მოახვევს.

თუმცა, ეს არ გამორიცხავს პრეზიდენტის პოლიტიკურ როლს ქვეყნის სტაბილურობისა და საზოგადოების დამშვიდების ხელშეწყობაში.

ამ მიზნით საპრეზიდენტო პლატფორმა არაერთხელ შევთავაზე ყველა პოლიტიკურ ძალას, რათა არ შეწყდეს დიალოგი. თუ ამის საჭიროება დადგება, ეს წინადადება ძალაშია. დღეს იმედიანად ვარ, რამეთუ ბოლო დღეებში პოლიტიკური შეთანხმებისკენ ნაბიჯები იდგმება. თუმცა, საბოლოო შედეგი ჯერ არ დამდგარა. ამ დროს ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია.

ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, მშვიდობიანად მივიდეთ არჩევნებამდე და საკუთრივ არჩევნები ჩატარდეს სამართლიან და თავისუფალ გარემოში.

ყველას მოვალეობაა, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ კორექტული თამაშის წესები, რაც გულისხმობს ინსტიტუტების პატივისცემას და პირადი შეურაცხყოფისგან თავშეკავებას.

ჩემი მოვალეობაა, მაქსიმალურად ვეცადო, ამ დაპირისპირებამ არ დააზიანოს საქართველოს ინტერესები (გარეთ) და საფრთხე არ შეუქმნას სტაბილურობას (შიგნით).

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის აზრთა სხვაობა, თუნდაც, მწვავე ოპონირება ბუნებრივი მოვლენაა, მით უმეტეს – საარჩევნო პერიოდში. თუმცა, ჩვენს პირობებში, როცა ქვეყანა რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში მდებარეობს, მისი ტერიტორიის 20 % კი ოკუპირებულია, მეტი სიფრთხილე გვმართებს. არ უნდა დავუშვათ, რომ პოლიტიკურმა დაპირისპირებამ გამოიწვიოს კრიზისი ან დესტაბილიზაცია.

ამიტომ, დაუშვებელია, ოკუპაციის თემა გახდეს პოლიტიკური სპეკულირებისა და ნიშნის მოგების საგანი.

ამიტომ, სრულიად მიუღებელია პირადი თუ პოლიტიკური ამბიციებისა და ინტერესების გამო ქვეყნის კურსის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება – მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი უმძიმესი ბრალდება არ ეფუძნება არც ერთ ფაქტს: არც – პოლიტიკურს, არც – ეკონომიკურს, არც – სამართლებრივს. ასეთი ბრალდება ერის წარსულისა და მისი ერთსულოვანი არჩევანის შეურაცხყოფაა.

პირადად მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, არ დავუშვებ ცილისწამებას, რომელიც სწორედ საქართველოს (და არა ცალკეულ პოლიტიკურ ძალას) უთხრის ძირს. მე იმ ქვეყნის პრეზიდენტი არც ვარ და არასოდეს ვიქნები, რომელიც კურსს შეცვლის და საკუთარ არჩევანს, კონსტიტუციაში გაცხადებულ მიზანს გადაუხვევს. ამაში ყველას შეგიძლიათ, იყოთ დარწმუნებული.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე, რაც უნდა დაგვირგვინდეს დეოკუპაციით, სახელმწიფოს გაერთიანებითა და საქართველოს თავის ევროპულ ოჯახში ღირსეულ წევრად დაბრუნებით, ჩვენს თაობას აქვს ერთი ვალდებულება – დაძლიოს პოლარიზაცია. მხოლოდ ერთიან საზოგადოებას შეუძლია ამ გზის ბოლომდე გავლა.

ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა მათ წინაშე, ვინც ამ ქვეყანას დამოუკიდებლობა მოუტანა.

4 მარტი, 2020 წ.

ეროვნული გვარდიის ოცეული ცენტრალურ აფრიკაში გაფრინდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნული გვარდიის ოცეული ცენტრალურ აფრიკაში გააცილა. თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სამხედრო-საწვრთნელ მისიაში მეხუთე როტაციას განახორციელებს.

სამხედრო მოსამსახურეები ალექსეევკას სამხედრო აეროდრომიდან თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩმა დიეგო კოლასმა გააცილეს. ირაკლი ღარიბაშვილმა მათ მხარდაჭერა აღუთქვა, სამშვიდობო მისიების მნიშვნელობაზე ისაუბრა და მშვიდობით დაბრუნება უსურვა. ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეულის ჯარისკაცები კაპიტან მალხაზ აბაშიძის მეთაურობით, ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიას (EUTM RCA) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში, ბაზა „უკატექსზე“ შეასრულებენ.

თავდაცვის უწყება კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით შეზღუდვებს აწესებს

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით სპეციალური ბრძანება გამოსცა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, თავდაცვის უწყების ის თანამშრომელი, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, ირანსა და იტალიაში, სამსახურში არ გამოცხადდებიან ორი კვირის განმავლობაში.

„ბრძანება გავრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც უახლესი ორი კვირის განმავლობაში აღნიშნულ ქვეყნებში ვიზიტს გეგმავენ. მინისტრის ბრძანებით, მათ შრომითი ანაზღაურება შეუნარჩუნდებათ. გადაიდო ან გაუქმდა ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, ირანსა და იტალიაში დაგეგმილი სამსახურებრივი მივლინებებიც“, — აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.

გორის სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ახალი შენობა გადაეცა

გორის სასწრაფო სამედიცინო დახმარებას ახალი შენობა გადაეცა. ადმინისტრაციული ოფისი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად გახსნა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შენობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის გათვალისწინებითაა დაპროექტებული და სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით. ადგილზე პერსონალისთვის სამუშაო და მოსასვენებელი ყველა პირობაა შექმნილი. **საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისთვის ადმინისტრაციული შენობებით უზრუნველყოფის პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად ახორციელებს.**

თბილისის მერიაში კონკრეტულ საქმეებს ამრავლებენ...

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და კორონავირუსის საპრევენციო ღონისძიებებში ჩართული უწყების ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა.

როგორც მან აღნიშნა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, კორონავირუსის პრევენციისთვის გასატარებელი ღონისძიებებისთვის უწყებათაშორისი საბჭო შეიქმნა, სადაც სხვა უწყებებთან ერთად, დედაქალაქის მერია შედის.

„თბილსერვის ჯგუფმა“ პროფილაქტიკის მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოები 54 მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაატარა, თუმცა პროცესს ვაგრძელებთ და ყველა მიწისქვეშა გადასასვლელი ანალოგიური ხსნარებით დამუშავდება. ამასთანავე, პრევენციის მიზნით, სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება მუნიციპალური ტრანსპორტი. დეზინფექცია უტარდება თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებს, სადაც 10-მდე დასახელების სადეზინფექციო საშუალება გამოიყენება. საპროფილაქტიკო ღონისძიებები ტარდება თბილისის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრებში, როგორც მერიის მისაღებში, ასევე, ათივე გამგეობაში და სახელოვნებო სკოლებში. მჭიდრო კომუნიკაცია გვაქვს, როგორც ჯანდაცვის სამინისტროსთან, ასევე, საბჭოში შემავალ ყველა სხვა უწყებასთან. მიღებული გვაქვს რეკომენდაციები და ინსტრუქციები, რომელთა ფარგლებშიც, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სახელოვნებო სკოლებში, სერვისცენტრებში შესაბამისი ღონისძიება ტარდება. მინდა, დავამშვიდო ჩვენი მოქალაქეები, რომ კორონავირუსის საპროფილაქტიკოდ, დედაქალაქის მერია ყველა შესაბამის ღონისძიებას მიმართავს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ 7 მარტიდან ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის მეოთხე ეტაპი იწყება. მესამე ეტაპის სამუშაოები კი, რომელიც კავსაძის ქუჩიდან ყიფშიძის ქუჩამდე არსებულ საგზაო მონაკვეთზე მიმდინარეობდა, უახლოეს დღეებში დასრულდება და მოძრაობა აღდგება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც კახა კალაძემ ყურადღება გამახვილა, ზემო და ქვემო ფონიჭალის დამაკავშირებელი სარკინიგზო გვირაბისა და მასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებია, რომელიც თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა აწარმოა. დედაქალაქის მუნიციპალიტეტი უახლოეს დღეებში გლდანის რაიონში, შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლებით გამაგრების სამუშაოებსაც დაიწყებს. პროექტის განხორციელებით აღნიშნულ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქის ერთ-ერთ მეწყერსაშიშ ზონაში, არსებული ყველა პრობლემა და საფრთხე აღმოიფხვრება.

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა კუს ტბასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაასრულა. პროექტის ფარგლებში, გზის სამკილომეტრიანი მონაკვეთი სრულად მოწესრიგდა.

დღევანდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერიამ სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის განცხადებების მიღება დაიწყო, რომელიც 31 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

„მმართველ გუნდს უმრავლესობის მოპოვება არ გაუჭირდება, ხმებით ოპოზიცია ამარაგებს“

პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ განახლებული გუნდით და ძალიან ძლიერი პროგრამით იქნება წარმოდგენილი. for.ge-ს ინფორმაციით, მმართველმა გუნდმა საარჩევნო პროგრამაზე მუშაობა დიდი ხანია, დაიწყო, რაც შეეხება ახალი გუნდის ფორმირებას, ამ თვალსაზრით გუნდში ჯერ ჩამოყალიბებული არ არიან. პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე არ ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი. მისი თქმით, ივანიშვილს ბევრი უკმაყოფილო ჰყავს და ის, ვინც ივანიშვილზე აიღებს ორიენტაციას, შეიძლება სახარბიელო სიტუაციაში არ აღმოჩნდეს.

for.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

— არჩილ თალაკვაძის განცხადებით, 2020 წლის არჩევნებში „ქართული ოცნება“ განახლებული გუნდითა და ძლიერი პროგრამით იქნება წარმოდგენილი. გუნდის განახლებაზე ისაუბრა პარტიის გენერალურმა მდივანმა. გუნდის განახლების აუცილებლობა გამოკვეთილია, მაგრამ როგორ უნდა განახლდეს გუნდი, როცა თავად პარლამენტის თავმჯდომარეს არა აქვს მაღალი რეიტინგი და პოზიციასთან უფრო ასოცირდება, ვიდრე პოლიტიკასთან...

— ძველი პრობლემის ახალი ვარიანტია თქვენს კითხვაში. ძველი ვარიანტია ის, რომ „ქართულ ოცნებას“ პიარი არ უვარგა. მაგრამ არა ყველას — პიარის კუთხით უკეთესად აქვს საქმე კახა კალაძეს. მან, ერთი მხრივ, საკმაოდ გაბედული არაპოპულარული ნაბიჯები გადადგა, ოღონდ მოსახლეობას დაუმტკიცა, რომ ეს ნაბიჯი გადასადგმელი იყო. ამავე დროს, პრაქტიკულად, ყოველ მეორე დღეს არის საინფორმაციო საშუალებებში, ხან მერიის, ხან „ოცნების“ თაობაზე გაკეთებული განცხადებებით.

— რამაც განაპირობა მისი რეიტინგიც...

— რა თქმა უნდა, ამან რომ პოპულარობა მოუპოვა ისეთ გამოკვლევებშიც ჩანს, სადაც „ოცნების“ მიმართ კარგად განწყობილებები არ არიან. ვგულისხმობ ბოლო რეიტინგებს. მაგრამ, ის, რასაც კალაძე, ერთი კონკრეტული პიროვნება აკეთებს, არ ვრცელდება მთლიანად „ოცნების“ გუნდზე. გუნდში ბევრი იმის ანალოგიური პრობლემაა, რაც თქვენ ჩამოთვალეთ — ცალკეული სახეები, რომლებიც რეიტინგული არ არიან, რაღაცა აკლიათ. მთლიანობაში, როცა გუნდს რეიტინგი არა აქვს, თავისთავად გუნდი არ აღიქმება გუნდად. რაც შეეხება თალაკვაძეს, აქ შეიძლება ძალიან მარტივი პრობლემა იყოს, სწორედ იმიტომ, რომ მას პოეზია შეახსენეს, თვითონაც ახალგაზრდულად გამოიყურება და ამ სტატუსს ელემენტარულად გარეგნულადაც კი დამაჯერებლობა სჭირდება. ასე რომ, შეიძლება პიარის თვალსაზრისით გადაუწყვეტელი პრობლემა არ იდგეს, მაგრამ გადასაწყვეტ პატარა პრობლემასაც გადაწყვეტა სჭირდება.

თალაკვაძე კი, სხვებთან შედარებით, ხშირად არის მედიაში. უამრავ ფიგურას აქვს ეს პრობლემა გუნდში. მით უმეტეს იმ ფიგურებიდან, რომლებიც ხშირად ჩანდნენ მედიაში (რაც რეიტინგულობის ერთ-ერთი ელემენტია), დიდ ნაწილი წავიდა „ოცნებიდან“ და დარჩა მდუმარე ნაწილი. კახი კალაძე არის „ოცნების“ გენერალური მდივანი, პარტიის მიმართ აგრესიას მასზეც გადაიტანდნენ, მაგრამ კალაძემ მოახერხა, რომ თავისი საკუთარი რეიტინგი ჰქონდეს. სხვებთან კი ეს პრობლემა არის. არ ვიცი, რას იზამენ საარჩევნოდ, მაგრამ პიარის გარეშე შემოთავაზებული ახალი სახეები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ახლები არიან, პარტიისთვის რეიტინგის შემომტანები ვერ იქნებიან.

— ყოფილი ფეხბურთელის კვალობაზე, კალაძე საკმაოდ ნიჭიერი აღმოჩნდა და მალე აუღო პოლიტიკას ალღო. იცის პიარი, იცის საქმის კეთებაც და ამ თვალსაზრისით, ნაკლები პრეტენზიებია მის მიმართ, ვიდრე მისი წინამორბედის მიმართ იყო. საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის კალაძე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, მაგრამ რა უშლით ხელს დეპუტატებს, მინისტრებს, რომ იყვნენ ასეთი სახით კომუნიკაციაში საზოგადოებასთან, მით უმეტეს, რომ პოლიტიკაში ყოფნის გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ? კალაძესთან მიმართებაში არ ისმის პრეტენზია, რომ „ივანიშვილის მესიჯბოქს“ კითხულობს, რაც სხვებთან მიმართებაში ისმის.

— კალაძის შემთხვევაში ეს განცდა რომ არ ჩნდება, მისი აქტიურობის, ნაწილობრივ სითამამის და იმის ბრალიც არის, რომ ხანდახან, მისი განცხადება ერთი-ერთში არ ემთხვევა „ოცნების“ შაბლონიზებულ განცხადებებს.

იხ. 6 გვ.

მოთმინებასაც საზღვარი აქვს

ქართველი ხალხი ნაცურ რევოლუციას მხარს არასოდეს დაუჭერს!

სტატიაში „რევოლუცია, რომელიც ნაგავს „ბინძური ცოცხით“ გახვეტს“ („ს.რ.“ 11.02.2020) ცნობილმა პუბლიცისტმა **გია გაბრიჭიძემ** დამაჯერებლად აღწერა დღევანდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ყოფა: პროგლემაც რელიეფურად გამოკვეთა და მისი გადაჭრის მშვიდობიან საშუალებაზეც მიგვანიშნა. თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე ციტატას დავიმოწმებთ:

„ამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ყველას ნათლად დაგვანახა, რომ ნაციონალური მოძრაობა, მისი თანამდევი არასამთავრობო ორგანიზაციები, ერთკაციანი „პოლიტიკური ძალები“ და მედიის გარკვეული ნაწილი, მაქსიმალურად ცდილობენ ქართველი ხალხის წინააღდეგ რევანშის აღებას. რევანშის აღებას იმ მკაფიო არა-ს გამო, რასაც ხალხი მათ ყოველდღიურად ეუბნება.

მათი „არსენალი“ ძალიან მწირია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს თავადაც კარგად იციან, მაგრამ ხელისუფლების დაბრუნებისკენ მათი მანიაკური სწრაფვა იმდენად გამჯდარი აქვთ გონებაში, რომ თავს, ფაქტობრივად, ვეღარ აკონტროლებენ და ისეთ ქმედებებსა და განცხადებებს აკეთებენ, რაც კიდევ უფრო ძირავს იმ ჭაობში, რაშიც უკვე კარგა ხანია, ყურყუმალაობენ“;

„ძალიან ადვილი სანახავია, რომ დღეს ამ ე.წ. „გაერთიანებულ ოპოზიციასა“ და არასამთავრობო სექტორში, ძლივს ერთად შეგროვდა ის ხალხი, რომლებიც ამდენი წლის განმავლობაში ხელს უშლიდნენ საქართველოს განვითარებას“;

„აუცილებელია მენტალური რევოლუცია. რევოლუცია, რომელიც поганой метлой (ბინძური ცოცხით) გახვეტს „ზუკა“ ბერძენიშვილებს, გიგა მაქარაშვილებს, ბაია პატარაიებს, ეკა გიგაურებს და, რაც მთავარია, მათს უმთავრეს დასაყრდენს — ბოკერია-სააკაშვილის იმ იდეოლოგიას, რომლითაც ისინი უკვე ამდენი წელია, ცდილობენ „ახალი“ გაიმპოტენტებული, გაბოროტებული, დაბეჩავებული ქართველის გამოყვანას“.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ყველაფერს რეალურად აანალიზებს, მას მაინც აკვირვებს ადამიანების მიერ გამოვლენილი სიძულვილი, რომლის ახსნა ლოგიკურად შეუძლებელია: **„ძალიან ბევრი რამ არ ვიცი, უფრო მეტი არ მესმის და ვცდილობ, რომ ვისწავლო ან გავიგო. ერთ რამეს კი ვხვდები — ვერასდროს გავიგებ იმ ბოღმას, რაც ამ აგრესიულ ლიბერალებს აქვთ სულში. არ მესმის, საიდან მოვიდა ეს სიძულვილი იმ ყველაფრისადმი, რაც საყვარელია, რაც საამაყოა, რაც აღსაფრთოვანებელია“**.

რამდენადაც არსებობს საკითხები, რომლებიც არა მარტო დიალექტიკური განსჯის, არამედ რელიგიური მოძღვრების მეშვეობით უნდა აიხსნას, ამდენად, ავტორისადმი პატივისცემის ნიშნად, შევეცდებით, გარკვეულობა შევმატოთ აღნიშნულ ფენომენს. ნაწილობრივ განმარტებას თვით გ. გაბრიჭიძე იძლევა: **„ბოღმა, შური, უმადურობა — ეს საშინელებები ამოტივტივდა იმ ფსევდოფასეულობების დამკვიდრებით, რაც ცხოვრებაში შეუმდგარმა ლუზერებმა თავს მოგვახვიეს“**. ე. ი. ეს საშინელებანი ფსევდოფასეულობათა დამკვიდრების გამო არსებობს, ხოლო პირველ მიზეზს მათი გაჩენისა ამ ფასეულობათა შემქმნელები წარმოადგენენ. ზოგადი მიზეზ-შედეგობრივი სქემა მარტივია: ავტორი, გამავრცელებელი, მომხმარებელი; მაგრამ ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, შესაძლოა, სქემას უფრო კონკრეტული სახე მივცეთ: გლობალისტ-ლიბერალები, გაერთიანებული ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი, ზომბირებული საზოგადოება.

ნაცურ-რევანშისტური მედია სწორედ ამ ზომბირებულთა გამრავლებაზე მუშაობს და ყველაფერს კადრულობს, რათა მასირებული ცრუ ინფორმაციით დაქანცულ საზოგადოებას აზროვნების უნარი წაართვას და მარტოოდენ ქვეცნობიერად აღქმის შესაძლებლობა დაუტოვოს.

გამუდმებულმა კიჟინამ ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებაზე და მის მიმართ ზღვარგადასულმა ლანძღვამ, განქიქებამ და ცილისწამებამ „ოპოზიციას“ მოვლენათა ადეკვატურად შეფასების უნარი დააკარგვინა. ამიტომ მისთვის უკვე დასაშვებია პარლამენტში ძალით შევარდნა, პოლიციელის კეტით ცემა, განსხვავებულად მოაზროვნეთა შეურაცხყოფა, ამორალური აქციები და ა. შ. საზოგადოებაზე ზემოქმედების დაუოკებელმა წყურვილმა, სინამდვილეში, თვით ხელოვნურად გაერთიანებული ოპოზიცია აქცია ზომბად. იგი დასავლური ინსტრუქციების ბადეში თვითონვე ისე გაიხლართა, რომ მარტო პრიმიტიული აქციების მოწყობითა და ლგბტ-ს გააქტიურებით ეძებს გამოსავალს.

> **განსაკუთრებით ბოლო დროს, ხსენებული ოპოზიცია ფრიად აბოგოძრდა და ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მათი ჟამიერი აღტყინებით იყოს გამოწვეული. ჩანს, რომ გარეშე ძალები ჩვენი ხელისუფლების მოქმედებით მთლად კმაყოფილნი არ უნდა იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირადად პროდასავლური პოლიტიკური კურსის მომხრე სრულიადაც არა ვარ, როგორ არ დავლოცო ჩვენი პატარა ქვეყნის ღირსეული ხელისუფლება, რომელიც თავისი ხალხის ტრადიციულ ღირებულებებს, კაცმა არ იცის — როგორი თავდადების ფასად, დასავლეთის ლიბერალური ძალების შემოტევებისგან იცავს.**

დასავლეთის მეხოტბენი ზნედაცემულობის მიჩქმალვას რუსოფობიის დაკანონებით ცდილობენ, მაგრამ სახელმწიფოთა მიერ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება დემოკრატიულობის ძირითად მახასიათებლად განა დასავლეთმა არ გამოაცხადა?! — იცით თუ არა თქვენ, მეხოტბენო, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების გარდა, 2015 წლიდან ამერიკის ყველა შტატშიც ერთნაირსქესიანთა ქორწინება ლეგალიზებულია! ხოლო 2020 წლის 14 თებერვალს ბელგია პირველი ქვეყანა გახდა მსოფლიოში, რომელმაც ტრადიციული ოჯახური ღირებულებების პროპაგანდისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შემოიღო!

ფაქტია, რომ დასავლური ქვეყნების მთავრობანი თავიანთ მოქალაქეებს ჯოჯოხეთისკენ მისასვლელ გზებს განუმზადებენ და გლობალური ამორალიზმის დანერგვით ანტიქრისტეს გამეფების ჟამს თავგამოდებით აახლოებენ! რა არის მათთვის მთავარი დაბრკოლება „დემოკრატიის“ საყოველთაო აღიარების გზაზე? — რასაკვირველია, ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც, უკვე ათი საუკუნეა, ებრძვის კათოლიკური და პროტესტანტული დასავლეთი. მათი ადეპტები ჩვენ შორისაც მრავლად მოიპოვებიან, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთ მათგანს წარმოგიდგენთ.

> **ეს გახლავთ რადიო „თავისუფლების“ რუსულენოვანი მიმომხილველი თენგიზ აბლოთია, რომელიც ნორჩი ლენინელის ენთუზიაზმით უძღვება თავის საქმეს და, როგორც ჩანს, ამერიკის კონგრესის მიერ დაფინანსებულ უწყებაში თავის პროფანაციულ შეხედულებებს თავისუფლად ავრცელებს, როგორც საინტერნეტო აუდიოჩანაწერების, ისე წერილების სახით. თ. აბლოთიას აზრით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის грузинизм-ის ტრადიციული ციტადელი, ტრადიციონალიზმის ბუნაგი, მაფიური ორგანიზაცია და гадюшник, ანუ ურთიერთმტრობის, გაუტანლობისა და სიძულვილის საკრებულო, რომელიც „მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ყოველთვის ანტისახელმწიფოებრივ ძალას წარმოადგენდა“ (Эхо Кавказа, 04.11.2019). — აი, ლიბერალური მსოფლმხედველობის კლასიკური ნიმუში!**

ასეა. ცოდვის ჭაობში ჩაძირვა თანდათანობით, თავდაპირველად პატიოსნების დათმობით იწყება, ხოლო ბოლომდე ჩაფლული, ანუ სინდისგარეცხილი კაცის სულში იმგვარი სიბნელე ისადგურებს, რომ იგი ბოროტმოქმედებისადმიც კი უგრძნობელი რჩება. ხოლო ბოროტება, როგორც ყოველივე სიკეთისა და თვითგანადგურებისკენ მიდრეკილი ფენომენი, თავის ბიწიერ ბადეს მონდომებით ქსოვს და მსხვერპლის გამრავლებაზე ზრუნავს. მისი მთავარი მამოძრავებელი შურია, რომელიც ადამიანის სულს, როგორც ჟანგი რკინას, ისე განლევს. იგი უმიზეზოდ, მხოლოდ სხვათა სიკეთის გამო აღმოცენება და ამიტომ ამ ვნების გაჩენის მიზეზი ლოგიკურად აუხსნელია.

პატრისტიკულ ლიტერატურაში **შურს** მშობელი სისხლისა, თავი სიკვდილისა, მტერი სიყვარულისა და წინააღმდგომი მშვიდობისა ეწოდება. გვიკვირს ხოლმე ადამიანების უმადურობა მადლიერების წილ, სიკეთის ბოროტებად წარმოჩენა, ქველმოქმედების დაფასების ნაცვლად შეურაცხყოფა, მაგრამ წმიდა ბასილი დიდი ნათლად განგვიმარტავს: **„მოშურნესა კეთილი ყოველივე უმეტესად აღაგზნებს; და რანზომცა ფრიად პატივ-სცეს, უმეტესად შურს და უმძიმეს და უმწუხარეს არს, რამეთუ ქველისმოქმედსა მას უმეტესად ეშურების, ვიდრეღა მადლიერ არს“**.

მოშურნე ან სხვა ცოდვით დაცემული კაცი, თუკი სინდისის ქენჯნას და სულიერ ტანჯვას არ განიცდის, მაშინ იგი ცდილობს, სხვებიც დაიმსგავსოს, რათა სხვათა პატიოსნება მის უტყვ მამხილებლად აქ იქცეს. ამისთვის იგი ცილისწამებასა და სახელის გასატეხ სხვა საშუალებებს მიმართავს, რომელმაც იგი, შესაძლოა, უკიდურეს გაბოროტებამდე და მკვლელობამდეც კი მიიყვანოს. ოპოზიციის ზღვარგადასული შფოთიანობა სწორედ იქიდან მომდინარეობს, რომ, მიუხედავად გაერთიანებისა, მათ კარგად უწყიან ერთმანეთის ნაკლი. ისინი ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ გაერთიანება ერთის წინააღმდეგ, როცა ის ერთი ზნეობრივად მთელ ერთობაზე აღმატებულია, ბუნებრივად უსამართლობის განცდას ბადებს და თავს იჩენს ჩვენთვის ნაცნობი შური, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ოპოზიციას ზომიერების გრძნობას ართმევს და რევოლუციური სამზადისისთვის განაწყობს.

პოლიტიკაში ხელმოცარული და თავიანთი სტატუსით უკმაყოფილო მოშურნენი ერთის წინააღმდეგ ისე გაერთიანდნენ, როგორც ფარისევლები და სადუკეველები ქრისტეს წინააღმდეგ. მიუხედავად მათ შორის ურთიერთმტრობისა და დაპირისპირებისა, სიკეთესთან შეუთავსებლობის გამო შურმა და ბოროტებამ ისინიც გააერთიანა. ერთად ბევრი იყვირეს, უცოდველი გაასამართლეს, ჯვარს აცვეს, მკვდრეთით აღდგომილზე ჭორი გაავრცელეს — გვამი მოციქულებმა მოიპარესო, მაგრამ რას გახდნენ ეშმაკის მსახურნი?! — ვინც ვერ შეიცნო ჭეშმარიტება, ანუ ვინც არ განეშორება ცოდვას, დღესაც იგივე მოელის, რაც სასოწარკვეთილ იუდას, ოცდაათ ვერცხლზე გაყიდული სიყვარულისთვის...

> **ჩვენი ოპოზიციაც იუდას დღეშია, მაგრამ მღვდელმთავარ კაიაფას მსგავსად (ინ.11,50) მთელი საქართველოს დარწმუნებას ცდილობს: ერისთვის უმჯობესია, რათა ის ერთი კაცი მოვიშოროთ და ქვეყანა გადავარჩინოთო! ოღონდ, როგორც კაიაფამ არ იცოდა მისი პირით წარმოთქმული წინასწარმეტყველების შინაარსი, ისევე არ იციან გაერთიანებულმა ოპოზიციონერებმა, რომ, მიუხედავად ყველა საინფორმაციო საშუალებით ამოქმედებული სიცრუის მანქანისა, ქართველი ხალხი მაინც ხვდება შემოთავაზებული პროგრამის მზაკვრობას და კიდევ ერთ ნაცურ რევოლუციას მხარს არ უჭერს!**

დაბოლოს, ამ ოპოზიციურმა კონგლომერატმა უნდა იცოდეს, რომ საზოგადოება მათ დანაშაულებრივ ქმედებას ჯერ-ჯერობით ითმენს. ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის პარალიზების მცდელობა და თითქმის ყოველდღიური მყვირალა აქციები მოქალაქეებსაც სიმშვიდეს ურღვევს და საპასუხო ქმედებისკენ განაწყობს. გეყოთ ამდენი უსამართლობა და გაუთავებელი ჟივილ-ხივილი! აცალეთ მშვიდობიან მოსახლეობას, რომ თავისი არჩევანი რევოლუციის და სისხლისღვრის გარეშე გააკეთოს!

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე),
ფილოსოფიის დოქტორი.

ქართული კულტურის აღიარებული ელჩი

მილოცვები აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს

(პირველი გვერდიდან) **განსაკუთრებით საყურადღებოა ქალბატონ ინესას მიერ ჩამოყალიბებული „თარგმანის ახალი თეორია“, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს დასავლეთის წამყვანმა მეცნიერებმა. აღნიშნულ თეორიას მიუძღვნა მან ჯერ სადოქტორო დისერტაცია, ხოლო შემდეგ მონოგრაფიები – „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ (თბ., 2005) და „თარგმანი – კულტურათა დიალოგი“, (თბ., 2005). დღეს ეს მონოგრაფიები სამაგიდო წიგნად იქცა მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციითა და თარგმანით დაგულისყურებული სტუდენტებისა და სპეციალისტებისათვის.**

აკადემიკოსი ი. მერაბიშვილის აზრით, მთარგმნელისთვის აუცილებელია, ზედმიწევნით იცნობდეს სათარგმნ ტექსტს და შეეძლოს მისი ღრმა ფილოლოგიური ანალიზი. ქალბატონ ინესას მიერ შემუშავებულმა თარგმნის მეთოდოლოგიამ მას თავად გაუხსნა გზა, ჯერ გამოეკვლია და შემდეგ ეთარგმნა დიდი გალაკტიონი, რომელსაც მან ორი მონოგრაფია „გალაკტიონის ენიგმები“ (თბ., 2003) და „გალაკტიონის Meri – პროტოტიპის ძიებაში“ (თბ., 2012) მიუძღვნა. გალაკტიონის ი. მერაბიშვილისეული თარგმანი ორჯერ გამოიცა ინგლისში.

უდავოდ დიდი იყო აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის დამსახურება, როცა ლონდონში გალაკტიონ ტაბიძის ჯერ 120, ხოლო შემდეგ 125 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე საზეიმოდ აღნიშნეს ბრიტანელმა პროფესორებმა, დიპლომატებმა და ლორდებმა. 2018 წელს კი მათივე თაოსნობით მოხდა გალაკტიონის წარდგენა ევროპის საბჭოში, ქალაქ სტრასბურგში, აღნიშნულ ღონისძიებებზე ქალბატონი ინესა გამოდიოდა საჯარო ლექციებით და აქვე ხდებოდა მისი წიგნების წარდგენაც.

ი. მერაბიშვილს მრავალი მოხსენება და საჯარო ლექცია აქვს წაკითხული მსოფლიოს ისეთი დიდი ქალაქების წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში, როგორიცაა ლონდონი, ნოტინგემი, ლივერპული, ათენი, ნიუ-იორკი, ჰარვარდი, პარიზი, ჟენევა, კიოტო, მადრიდი, ვენეცია, დუისბურგი, მოსკოვი, ლენინგრადი, ვარშავა და სხვა.

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ბაირონოლოგია. 1988 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა საქართველოს ბაირონის საზოგადოება, რომელიც ბაირონის საერთაშორისო ასოციაციამ თავის დამოუკიდებელ წევრად ცნო და 1995 წლიდან ათი წლის ვადით ი. მერაბიშვილი ამ ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩია.

თანამედროვე ბაირონოლოგიისთვის ღირებული გამოდგა ი. მერაბიშვილის მიერ საფუძვლიანად დამუშავებული საკითხი – ბაირონი და საქართველო. ეს თემა ავტორმა სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიდგინა. ბაირონის ევროპული აღქმისადმი მიძღვნილ თეორიულ ორტომეულში, რომელიც 2004 წელს ლონდონსა და ნიუ-იორკში გამოიცა, ამ საკითხს ინესა მერაბიშვილის ავტორობით ცალკე თავი მიეძღვნა: Innes Merabishvili, Liberty and Freedom and the Georgian Byron, in: The Reception of Byron in Europe, Volume II, Continuum Press, London-New York, 2004.

ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევამ ი. მერაბიშვილი დიდ აღმოჩენამდე მიიყვანა: მან ჯერ გამოავლინა ქართველი ქალის ეპიზოდის არსებობა ბაირონის ცხოვრებაში, ხოლო შემდგომ დაასაბუთა, რომ ბაირონის მისტიური პერსონაჟი **„თირზა“**, რომელსაც პოეტის ლექსების მთელი ციკლი ეძღვნება, ქართველი ქალისადმი განცდილი გრძნობითაა შთაგონებული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თირზას პერსონაჟი ორი საუკუნის მანძილზე რჩებოდა ბაირონოლოგიაში ერთადერთ ამოუხსნელ მოვლენად.

ქართველი ბაირონოლოგის მიგნება არაერთმა საერთაშორისო კონფერენციამ მოისმინა და აღიარა. კვლევის შედეგები აისახა ი. მერაბიშვილის პუბლიკაციებსა და ვრცელ ინგლისურენოვან მონოგრაფიაში „Encounter with Lord Byron“ – „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“.

> აი, რას წერს ამ წიგნის შესახებ ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი ნაჟი ოიჯინი: **„ინესა მერაბიშვილის ეს მონოგრაფია ოქროს ასოებით ჩაიწერება ბაირონის შესწავლის ისტორიაში. ეს ინგლისურენოვანი წიგნი არა მხოლოდ უკეთ გაგაცნობთ ბაირონს, არამედ საშუალებას მოგცემთ, შეიმეცნოთ მდიდარი ქართული კულტურა. საქართველოს ეროვნული კულტურის საუნჯეთა შორის ეს წიგნი თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს“.**

25 წლის მანძილზე ბაირონთან მიმართებაში საქართველოს საკითხით ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების დაგულისყურებამ თავისი შედეგი გამოიღო: 2014 წელს საქართველოში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ბაირონის 40-ე საერთაშორისო აკადემიური ფორუმი თემაზე **„ბაირონი დედანსა და თარგმანში“**. კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ ინესა მერაბიშვილი. აღსანიშნავია, რომ ქალბატონ ინესას თაოსნობით ბაირონის პოეზია და მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე მისი თარგმანი გამოცხადდა საერთაშორისო ფორუმის თემად და მას საერთაშორისო სამეცნიერო სამყარომ დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა. აღნიშნული კონფერენციის მასალები ინგლისურენოვანი მონოგრაფიის სახით გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ი. მერაბიშვილის რედაქტორობით (Byron Original and Translated, Proceedings of the 40 International Byron Conference, Tbilis, 23-28 June, 2014, edited by innes Merabishvili and Naji Oueijan, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2017) და დაეგზავნა მსოფლიოს წამყვან ბიბლიოთეკებს.

ინესა მერაბიშვილი იმ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა საქმიანობა პედაგოგიური მუშაობისგან განუყოფელია. მისი, როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ხელმძღვანელობით მომზადდა ექვსი სადოქტორო დისერტაცია.

> **ქალბატონმა ინესამ უნივერსიტეტში შექმნა სათანადო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ქართულ-ინგლისური თარგმანის მიმართულებით, რაც დასავლეთევროპული ფილოლოგიის ინსტიტუტში თარგმანმცოდნეობის კათედრის გახსნით დაგვირგვინდა, რომელსაც დღემდე თავად ხელმძღვანელობს.**
>
> **1995 წელს აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა დაარფუძნა თბილისის ბაირონის ცნობილი სკოლა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ინგლისური ენისა და კულტურის შესწავლის საქმეში. სასწავლებლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას საქართველოსა და მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტში.**

აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი გახლავთ ის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თანაბრად აფასებენ როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, პატივს სცემენ მის ორატორულ ნიჭს და გამოცდილებას. საუნივერსიტეტო თუ საჯარო ლექციებით წარმატებული გამოსვლები, მძაფრი პოლემიკური დისკუსიები, პუბლიცისტური წერილები, სატელევიზიო და რადიოგადაცემები ნათლად მეტყველებენ მის საზოგადოებრივ და აკადემიურ ღირებულებებზე.

სამეცნიერო და კულტურულ ასპარეზზე ნაყოფიერი მუშაობისათვის ინესა მერაბიშვილს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი, ქართული კულტურის დესპანის წოდება, „ოქროს ფრთა“, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია, გალაკტიონ ტაბიძის პრემია, არის გორის საპატიო მოქალაქე, საიუბილეოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქალბატონ ინესას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი უბოძა.

ბაირონოლოგიაში შეტანილი წვლილისათვის იგი დაჯილდოებულია ბაირონის საერთაშორისო მედლით.

2011 წლიდან აკადემიკოსი ი. მერაბიშვილი არჩეულია დიდი ბრიტანეთის პოსტკონფლიქტურ კულტურათა კვლევის საერთაშორისო კონსორციუმის დირექტორთა საბჭოს წევრად. 2005 წელს მას ბრიტანული აკადემიური წრეების წარდგინებით მიენიჭა საერთაშორისო ელჩის ორდენი და წოდება Her Excellency – მისი აღმატებულება.

> **ვულოცავთ ქალბატონ ინესას სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს სამეცნიერო საქმიანობაში.**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დიდი ბრიტანეთის ელჩთან ჯასტინ მაკკეინზი სმიტთან

სტივენ ნეში, **დიპლომატი, დიდი ბრიტანეთის პირველი ელჩი საქართველოში:**

ინესა მერაბიშვილი გახლავთ ბრიტანულ-ქართული ურთიერთობების დიდი მოამაგე. ამ მხრივ მის ღვაწლს მხოლოდ მარჯორი უორდროპის მიერ გაწეულ სამსახურს შევადარებდი. თავისი საქმიანობით მან საქართველოს მრავალი მეგობარი და დამფასებელი შემატა.

ბერნარდ მაკგარკი, **პროფესორი, ლონდონის CCCP გამომცემლობის ხელმძღვანელი:**

დიდი პატივია, რომ დიდ ბრიტანეთში გალაკტიონი პირველად ჩვენ დავბეჭდეთ. ვიმედოვნებ, რომ ამ განსაცვიფრებელი პოეტის ინესა მერაბიშვილისეული თარგმანი უამრავ მკითხველს დააგულისყურებს. გალაკტიონი საუკუნის დაგვიანებით მოვიდა ჩვენამდე და მხოლოდ ახლა ხდება მსოფლიოსთვის მისაწვდომი.

მისი პოეზია ვარსკვლავებით მოჭედილი გალაქტიკაა, ინესა მერაბიშვილი ის ხომალდია, რომელიც ამ ვარსკვლავებისაკენ გაიჭრა და მიწვდა მათ.

ლორდ მერევორსი, **ინგლისელი პოეტი და დრამატურგი:**

გალაკტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი რანგის პოეტი, რომელიც არის სულის ნამდვილი არისტოკრატი და სიტყვიერი სასწაულების შემქმნელი. უიმისოდ მსოფლიო პოეზია დიდ აღმოჩენას აუვლიდა გვერდს.

მადლობა უნდა ვუთხრა პროფესორ ინესა მერაბიშვილს, რომელმაც ასეთი ძვირფასი სამსახური გაუწია უკვდავ პოეტს, რადგან მისი პოეზია ამიერიდან მსოფლიო საკუთრება ხდება და იმედი მაქვს, მისით დაგულისყურება სულ უფრო და უფრო გაიზრდება.

კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ქალბატონ ინესას ამ ბრწყინვალე თარგმანისთვის, რომელსაც გენიალურ ნამუშევრად ვაღიარებ.

რობერტ ჯ. გიბსონი, **ამერიკელი იურისტი და დიპლომატი:**

აშკარაა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანსაც რომ ხელეწიფება.

ინესა მერაბიშვილის, როგორც საქართველოს კულტურის ელჩის, ღვაწლი ნამდვილი ლოცვა-კურთხევაა მსოფლიოს პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის. მისი დამსახურება ლიტერატურის დარგში მომავალშიც დაფასდება და ყველას დიდხანს ემახსოვრება.

გრაფი ლიტონი, **ლორდთა პალატის წევრი:**

პროფესორი მერაბიშვილი არის ის, ვისაც ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ საგანძურს ვუწოდებთ და იგი იმსახურებს, ასეთად იყოს აღიარებული თავის სამშობლოშიც.

სწორედ ამიტომ პროფესორი მერაბიშვილი მიჩნეულია საქართველოს, მისი ენისა და კულტურის გამორჩეულ ელჩად, ხოლო მე, როგორც ლორდ ბაირონის შთამომავალი, მთელი სულითა და გულით მხარს ვუჭერ მას.

გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება პოლიტიკური ოპონენტების დაჭერას აღარ აპირებს. როგორც ამბობენ, არაფორმალურ დახურულ შეხვედრებზე საუბარი შეეხო იმას, რომ პოლიტიკურად აქტიური ადამიანების დაკავებები უნდა შეწყდეს. ასე რომ, ლეიბორისტების მაგიდასთან შემოკრებილი ოპოზიცია გულდამშვიდებულია – არჩევნებამდელ პერიოდში, მაინც, ციხეში არ აღმოჩნდება.

რა შეცვალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში „ლელოსა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ გამოჩენამ? ამის შესახებ For.ge-ს ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია ესაუბრა.

„სააკაშვილის ავტორიტარული შხამით მოწამლული 15 პროცენტის არსებობა არ უნდა გაგიკვირდეს“

– ოპოზიცია მოითხოვს, არჩევნებამდელ პერიოდში დაჭერებზე მორატორიუმი გამოცხადდეს. რამდენად გონივრულია მორატორიუმის გამოცხადება იმისთვის, რომ ხელისუფლებამ დასავლეთის კრიტიკა არ დაიმსახუროს?

– ეს ყველაფერი პოლიტიკური ინსინუაციები და პოლიტიკური ელფერის შექმნაა. მორატორიუმი რა შუაშია, ვისაც დანაშაული ჩადენილი აქვს, არავითარი მორატორიუმი მისთვის არ უნდა იყოს. თუ სერიოზული სისხლის სამართლის საქმეა, მორატორიუმი არაფერ შუაშია. მით უმეტეს, თუ საუბარია სახელმწიფო მოხელეობის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებზე. მეორეც, სად ნახეთ, მასობრივი დაპატიმრებები ხორციელდებოდეს? უგულავას დაპატიმრება არ ითვლება პოლიტიკურად შეკერილ საქმედ. თუ მმართველ პოლიტიკურ ძალას სურვილი ჰქონდა, პოლიტიკური ნიშნით ადამიანები დაეპატიმრებინა, მაშინ ვანო მერაბიშვილს არ გამოუშვებდნენ და, როგორც ეს სააკაშვილის ციხეებში ხდებოდა, ადამიანს გაუგრძელებდნენ პატიმრობის ვადას. როცა ჯალათი მერაბიშვილი გამოუშვეს ციხიდან და უგულავა შევიდა 48 მილიონი ლარის გაფლანგვისთვის, სად არის აქ პოლიტიკური თემა?

– როგორ გესახებათ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკების პროცესი? ბევრი თვლის, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

– მოლაპარაკებები ჩიხში არ შესულა, ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ მიიღო თამაშის წესები და 4 აპრილიდან ისინი იწყებენ წინასაარჩევნო კამპანიას. მათ უკვე დაასახელეს თბილისის კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქებში კონკრეტული კანდიდატები. გაერთიანებულმა ოპოზიციამ შეიმუშავა კონკრეტული სტრატეგია, რომლითაც ისინი თვლიან, რომ ამ სტრატეგიით შეძლებენ უმრავლესობაში მოსვლას, თუნდაც 60/40-ზე ვარიანტით, რაც მათ საშუალებას მისცემს, კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბონ და ძირითადი პოლიტიკური თანამდებობები ხელში ჩაიგდონ. ეს მათი ნარატივია. ისინი მაჟორიტარულ ოლქებში აყენებენ ერთიან კანდიდატებს და ცდილობენ, ამ გზით რაც შეიძლება მეტ მაჟორიტარულ ოლქში დაამარცხონ მმართველი გუნდის მაჟორიტარები. მაჟორიტარული ოლქების აღების შემდეგ კი იმ 15%-ის საფუძველზე, რომელიც მათ ეგულებათ, რომ ისინი პროპორციულად აიღებენ, შექმნიან უმრავლესობას კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად.

– ოპოზიციისგან ხშირად რევოლიციური სცენარის შესახებ წამოცდენებიც ისმის. რომელ თამაშს აპირებენ რეალურად და მათ მიერ დასახელებული კანდიდატები, თავიანთი „ნაციონალური“ შლეიფით (ელენე ხოშტარია, დავით ბაქრაძე, ნიკა მელია, ხატია დეკანოიძე, გიორგი ვაშაძე) მიაღწევენ წარმატებას?

– რა გითხრათ, მაგრამ პრინციპი ასეთია: ვისაც გააჩნია თანხა, ის უკვეთავს მუსიკას. „ნაცმოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“, სამწუხაროდ, მომხრეთა გარკვეული გარანტირებული ნაწილი, 10-15% გააჩნიათ. ესენი არიან პოლიტიკურად მოწამლული ადამიანები. ეს არის ავტოკრატიის ერთგვარი სინდრომი. ბუნებრივია, 9-წლიანმა ავტორიტარულმა რეჟიმმა თავისი დამღა დაასვა ხალხს და არქიფო სეთურის პოლიტიკური სექტანტები წარმოშვა. მიხეილ სააკაშვილმა შეძლო, პოლიტიკური შხამი გაეშვა და მოეწამლა საზოგადოების გარკვეული ნაწილი. ჩვენთვის ასეთი სინდრომი უცნობი არ არის – იყვნენ სტალინისტები, ლენინისტები, რაღა დაგიმალოთ და, კომუნისტებიც კი იყვნენ ეროვნული მოძრაობის პერიოდში. კომუნისტურმა პარტიამ 9 აპრილის მერე ხმათა დაახლოებით 30% აიღო. თქვენ წამოიდგინეთ, 28 ოქტომბერს აიღეს ასეთი მაღალი პროცენტი და ეს შოკი იყო. მართალია, იმ დროს არსებობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, „მრგვალი მაგიდის“ სახით, რომელმაც უმრავლესობა მოიპოვა, მაგრამ პარალელურად 30% აიღო კომუნისტურმა პარტიამ. თანაც, ის არჩევნები ჩატარდა თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოში და სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ მაშინდელმა კომუნისტურმა პარტიამაც ვერ გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსები. საზოგადოების 30% მოწამლული გვყავდა კომუნისტური შხამით. ასე რომ, 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის ავტორიტარული შხამით მოწამლული 15%-ის არსებობა არ უნდა გაგვიკვირდეს.

– ამ სიის წარდგენით კიდევ ერთხელ გაიშიფრა ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის არსი, რომ როგორადაც არ უნდა შეფუთონ, ესენი მაინც არიან „ნაცები“ და „ევრონაცები“.

– მე მგონია, ტყუილუბრალოდ არ წამოვიდა მათი კანდიდატურების შესახებ მესიჯი. არ ვიცი, მმართველი პოლიტიკური ძალა როდის დაიწყებს ოფიციალურად წინასაარჩევნო კამპანიას, მაგრამ 4 აპრილს კამპანიას ნამდვილად იწყებს გაერთიანებული ოპოზიცია, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ პარტელიტა დომინანტობს. „ლელო“ და „პატრიოტთა ალიანსი“ როდის დაიწყებენ წინასაარჩევნო კამპანიას, ესეც საინტერესოა. ჩვენ ვხედავთ, რომ ორი პოლუსის მიღმა კიდევ გაჩნდა ორი პოლიტიკური გაერთიანება – „ლელო“ და „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც დისტანცირებს ორივე ძალისგან და ეს კარგია, რომ ოთხპოლუსიანი პოლიტიკური სპექტრი მივიღეთ ამ ეტაპზე.

– „ნაცებს“ შანსი რომ ჩაუვარდეთ ხელში, რევოლიციურ სცენარზეც არ იტყვიან უარს. ამას წინათ ჩვენთან საუბრისას თქვენ კითხვა დასვით, საერთოდ მივაღწევდით თუ არა არჩევნებამდე?

– იმ პერიოდში მე ვაცხადებდი, თუ აპრილამდე ვერ მოხერხდებოდა მმართველ პოლიტიკურ ძალასა და ოპოზიციას შორის კონსენსუსის მიღწევა, მაშინ საპარლამენტო არჩევნები დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებოდა, მაგრამ რადგან 4 აპრილს გაერთიანებული ოპოზიცია ქუჩაში გამოდის და იწყებს საპროტესტო აქციებს, ეს ნიშნავს, რომ ამით ერთგვარი კონსენსუსი შედგა. ამიტომ, ფაქტობრივად, საპარლამენტო არჩევნები შეიძლება შემდგარად ჩავთვალოთ. არც ერთმა ექსპერტმა და პოლიტტექნოლოგმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, თუ რატომ მოხდა, რომ გაერთიანებული ოპოზიცია დათანხმდა მმართველი პოლიტიკური ძალის თამაშის წესებს. დათანხმდა იმიტომ, რომ გაჩნდა ორი შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა – „ლელო“ და „პატრიოტთა ალიანსი“. მათი გამოჩენის შემდეგ გაერთიანებული ოპოზიცია იძულებული გახდა, ჩართულიყო პროცესში და მიეღოთ ის თამაშის წესები, რომელიც შემოთავაზებული იყო მმართველი ძალის მიერ.

– სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებითაც ითქვა, რომ „ლელო“ და „პატრიოტთა ალიანსი“ ხელისუფლების შექმნილია.

– ეს გაერთიანებული ოპოზიციის ერთგვარი ილუზორული ხედვაა. ეჭვი მეპარება, ხაზარაძე და ჯაფარიძე, რომელთა საქმეებიც სასამართლოში განიხილება, ან იგივე „პატრიოტთა ალიანსი“, რომელსაც მნიშვნელოვანი საკითხები დაუბლოკა „ქართულმა ოცნებამ“, მათ შორის, რეჟიმის გასამართლების კუთხით, ვინმეს თამაშს თამაშობდნენ. „პატრიოტთა ალიანსი“ უკვე იწყებს „ქართული ოცნების“ ანტინაციისტურ ელექტორატზე მუშაობას. კარგია, რომ ასე მოხდა, „ქართულმა ოცნებამაც“, ბოლოს და ბოლოს, უკვე რეალურად დაიწყო ბრძოლა „ნაცისტების“ და ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ და იმ კომფორმიზმზეც უარი თქვა, რის გამოც თავის დროზე ხიბლში ჩავარდა. „ოცნება“ უკვე იწყებს ამ ხიბლიდან გამოსვლას. რამდენად გამოუვათ ეს, არ ვიცი. თუ „ოცნებამ“ სტრატეგია არ შეცვალა, არ გადაახალისა კადრები და დინამიკურად არ მიუდგა საქმეს, საკმაოდ რთული სიტუაცია ელის.

– რთულ სიტუაციაში რას გულისხმობთ, იმას, რომ „ოცნების“ ამომრჩეველი „ლელოსა“ და „პატრიოტთა ალიანსზე“ გადანაწილდება?

– ასეთი სცენარი სავსებით არ არის გამორიცხული. შესაძლოა, ეს სიურპრიზი გამოვლინდეს და მომავალ საპარლამენტო არჩევნების შედეგებზეც აისახოს ეს ყველაფერი. კიდევ ერთი ნიუანსია: შემთხვევითი არ არის, რომ თუნდაც იგივე „ენდიაი“ და „აირაი“ „ნაცმოძრაობის“ წმინდა 15%-იან ელექტორატზე მუშაობენ და „ნაცმოძრაობის“ მიერ შექმნილ სოციოლოგიურ ანალიტიკურ ცენტრებს უკვეთავენ სოციოლოგიურ კვლევებს. აღნიშნულ „ანალიტიკურ ცენტრებს“ კი აქვთ თავიანთი ელექტორატის სიები, ამ სიებში ის ხალხია შეყვანილი, რომლებიც „ნაცებს“ მისცემენ ხმას. ამ სიების მიხედვით ატარებენ ე.წ. სოციოლოგიურ კვლევას და ამის მიუხედავადაც, „ნაცმოძრაობის“ ელექტორატში მაინც რომ ლიდერობს „ქართული ოცნება“, ეს არის ზუსტად საინტერესო მომენტი.

მანანა ნოზაძე

„მმართველ გუნდს უმრავლესობის მოპოვება არ გაუჭირდება, ხმებით ოპოზიცია ამარაგებს“

(მესამე გვერდიდან)

თქვენ გაიხსენეთ, სპორტიდან შემოვიდაო. თვითონაც გრძნობდა, რომ ძალიან დიდი დისტანციაა ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის, შეიძლება ამან მეტი მონდომებით ჩართო ამ საქმეში. იქამდე ენერგეტიკის მინისტრი იყო და 24 საათი მუშაობდა იმისთვის, რომ ენერგეტიკაში კარგად გარკვეულიყო. ამჟამად იგივე სიბეჯითე აქვს მერის თანამდებობაზეც.

სიზარმაცეა იმის მიზეზი, რაც ხდება. როგორც ჩანს, საქართველოში რაღაცამ უნდა გაიძულოს, რომ საქმე გააკეთო. კალაძე აიძულა მისმა წარსულში პოლიტიკისგან შორს ყოფნამ და ამიტომ იმუშავა. შეიძლება თვითონ სპორტსმენობამ შეუწყო ხელი მუშაობის ასეთ უნარს. აქაც რაღაცა მექანიზმია ასამუშავებელი. ყველა იძახის, ივანიშვილია გადამწყვეტი ფიგურაო, მაშინ ივანიშვილის მხრიდან არის საქმე ასე დასაყენებელი: ვინც თავის თავს ვერ მოუვლის, ის დატოვებს „ოცნების“ რიგებს. ამ შემთხვევაში უფრო გააქტიურდებიან „ოცნების“ პასიური წევრები. რახან არ აქტიურდებიან ე.ი. „ოცნებაში“ არ დგას ასე საკითხი, რაც შეცდომაა.

– დღეს მოქმედ უმრავლესობას საზოგადოება არ ენდობა, იგივე შეიძლება ითქვას ექსპერტების ახალგაზრდულ ფრთაზე, რომლებიც დღეს მედიაში ჩანან და მმართველი გუნდის „მესიჯბოქსებით“ საუბრობენ. რა ნაწილზე უნდა გააკეთოს აქცენტი „ოცნებამ“, რომ ამომრჩევლისთვის მისაღები გახდეს, რაც მმართველ გუნდს არჩევნებზე გამარჯვების გარანტიას მისცემს?

– მმართველ გუნდს უმრავლესობის მოპოვება არ გაუჭირდება, რადგან მას ხმებით ოპოზიცია ამარაგებს. ოპოზიცია დგამს ისეთ დაუფიქრებელ ნაბიჯებს, რაც „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს, რაც გაზარმაცების კიდევ ერთი ფაქტორია. ამიტომ არც იწუხებენ თავს იმისათვის, რომ იზრუნონ ხმების მოპოვებაზე. სერიოზულ კონკურენციას ოპოზიცია ვერ ახერხებს და უფრო ზუსტად, ვერ ახერხებს სერიოზულობის იმ შთაბეჭდილების მოხდენას ამომრჩეველზე, რის გამოც ამ ამომრჩეველმა ეს ოპოზიცია უნდა აირჩიოს. ოპოზიციას რომ სერიოზული რეიტინგი ჰქონდეს, „ოცნების“ გუნდში ბრძოლა ყველასთვის იქნებოდა ბრძოლა და არა ნებივრობა. ვიმეორებ, ამის მიზეზი მარტო „ოცნებაში“ არ უნდა ვეძებოთ. „ოცნების“ დეპუტატებს ანებივრებს ოპოზიციის დამოკიდებულება პოლიტიკის მიმართ.

– „ძლიერი გუნდი – ძლიერი პროგრამით“ – ეს არის „ოცნების“ სლოგანი. ამომრჩეველს გუშინ თუ არ აინტერესებდა, ვინ იქნებოდა პარლამენტში, დღეს ცოტა სხვა პოზიცია აქვს. მართალია, ნიჰილიზმი არის ამომრჩეველში, მაგრამ მისი პოლიტიკური გემოვნება გაიზარდა. ქართული პოლიტიკური ველი იძლევა ახალი გუნდის ფორმირების შესაძლებლობას?

– ვიმეორებ, სჭირდება კი „ოცნებას“, ისეთი გუნდის შექმნა, რომ მას დაუჭირონ მხარი? რეიტინგებითაც ჩანს, რომ ამომრჩეველი თითქმის არ აპირებს ოპოზიციის მხარდაჭერას. ბუნებრივია, რომ დიდად არც „ოცნება“ არ იწუხებს თავს. „ოცნების“ კონკრეტული დეპუტატებიც კი არ არიან იძულებული, რომ გახდნენ მაქსიმალურად ეფექტურები. ხელისუფლებას აფუჭებს ცუდი ოპოზიცია. საჭირო არის ძლიერი ოპოზიცია და საჭიროა, სწორედ, იმიტომ, რომ ხელისუფლება არ გაზარმაცდეს. სამწუხაროდ, ჩვენ ძლიერი ოპოზიცია არ გვყავს.

– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რამდენად გადამწყვეტი იქნება ივანიშვილის ფაქტორი? მოლოდი, რომ ივანიშვილი გაუკეთებს საქმეს და არა კონკრეტული დეპუტატი, ისევ არის საზოგადოებაში?

– არა მგონია, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდეს ივანიშვილის ფაქტორი. იმიტომ, რომ ივანიშვილს ბევრი უკმაყოფილო ჰყავს და ის, ვინც ივანიშვილზე აიღებს ორიენტაციას, შეიძლება სახარბიელო სიტუაციაში არ აღმოჩნდეს. მაგრამ საკითხი ისე ისმის, საერთოდ, იქნება კი რაიმე გადამწყვეტი, გარდა იმისა – „ავირჩიოთ იმიტომ, რომ სხვა გზა არა გვაქვს“.

თამთა ქარჩავა

„ქალი სუყოველი მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

ქალებზე

გრიყვი ქალები მამაკაცთა ყურადღების მიქცევას მყვირალა სამოსლით ცდილობენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მამაკაცთ ეს აშინებთ, იმათ არ უყვართ და არ ესმით მყვირალა თუ ჭყატანა რამ. მამაკაცთ მოსწონთ, როცა სხვა მამაკაცნი თვალს აპარებენ იმათი ქალებისკენ, იმიტომ, რომ ლამაზნი არიან.

* * *

თუ თავმომწონე ქალი ხარ, თავი სასიყვარულო რომანის გმირად წარმოიდგინე.

* * *

რა იცი, დღეს იქნებ სულაც შენს საბედოს შეხვდე, მაშასადამე, გემოვნებით უნდა იყვე ჩაცმული.

* * *

თუ მავან ქალიშვილს ცუდად მისდის საქმე, მაშინ გევრად უკეთესად უნდა გამოიყურებოდეს, ეს წაეშველება.

* * *

ვერ გამიგია, რატომ ელტვიან ქალები ყოველსავე იმას, რაც რომ კაცებს აქვთ... სხვა არა იყოს რა, ქალებს კაცები ჰყავთ.

* * *

თუ ქალი ოცდაათი წლისა ვერ გალამაზდა, მაშასადამე, ტუტუცია.

* * *

არ უნდა ვიგულმავიწყოთ, რომ აუცილებელია საკუთარი განუმეორებლობის შენარჩუნება როგორც მოძრაობებში, ისე აზრებსა და საქციელში.

* * *

დედამიწის ზურგზე არ არიან ულამაზო ქალები, არიან განსაკუთრებულად ზარმაცნი.

* * *

იმისთვის, რათა ქალი შეუცვლელი იყვეს მამაკაცისთვის, ქალს მუდმივად ცვლილება მართებს.

* * *

ამერიკელი ქალები თვალწარმტაცნი არიან იმიტომ, რომ სულ იღიმებიან.

* * *

დმერთმანი, ძალიან მიყვარან გერმანელი ქალები, ბუნებით მოსდგამთ თვალმიმტაცი მიხრა-მოხრა, ჯერ თეძოებსა და ნაკუთალთ გაწონებენ, ვით მტაცებელნი მხეცნი, მერე ტერფთ. ფრანგი და ამერიკელი ქალები პირიქით, ეგრევე თავიანთ ნატიფ ტერფთ გიტრიალებენ თვალწინ.

* * *

ულამაზო გარეგნობის შეგუება შეიძლება, მაგრამ უბოდიშობისა – არცროდის.

* * *

ოცი წლისას ქალს ბუნებისგან ეძლევა სახე, ხოლო როგორი სახე ექნება ორმოცდაათი წლისას, განსაკუთრებულად ქალზეა დამოკიდებული.

* * *

იცვალე! ნამდვილ ქალს უნდა შეეძლოს მუდმივი ცვლილება თავის სტილის ჩარჩოებში.

* * *

...სამოსელსა შიგან არის ქალი... უკეთუ სამოსელში ქალს ვერ ხედავთ, მაშასადამე, არც სამოსელია.

* * *

დიახ ძალიან დაუნდობელი ვიყავი ბანოვანთა მიმართ, მეტადრე მაღალი წრის ბანოვანთა მიმართ, რომელთაც უკიდურესად ბინძურ ქალებად მივიჩნევდი. ოღონდაც იმათი კოპწიაობა ვეებერთელა შლაპებითა და მეტისმეტი მაკიაჟით თვალწარმტაცად მეჩვენებოდა. მართლაც რომ გემრიელნი იყვნენ, ჩემი რომანების გმირი ქალების მსგავსნი. კეკლუცობა და გარემო, რა გარემოშიც ისინი ცხოვრობდნენ, იყო სწორედ ჩემი რომანები. წესიერი ხალხი არავითარ ასოციაციას არ იწვევდა ჩემში. არა, იწვევდა, როგორ არა – ჩემს დეიდა-მამიდებს მაგონებდნენ.

* * *

...თუ ქალს კარგი, მოხდენილი ტანი აქვს, სახის ლამაზი, სწორი ნაკვთები, რად უნდა თქმა, რომ ლამაზია... თუ ქალი გემოვნებით შემოსილია, დახვეწილად ჩაცმულია, სახეზე სუსტი მაკიაჟი აქვს, მაშასადამე, მოხდენილია... ხოლო, თუ მოხდენილიც არის და ლამაზიც, რასაკვირველია, თვალს მოგტაცებს.

* * *

თუ ქალი კაცს ღალატობს, გონივრულ მიზეზთა ძებნა არ ეგების: აქ გონება კი არა, გრძნობებია ჩარეული.

* * *

ქალებს მუდმივად ცვლილება უნდათ. მართალნი არ არიან, არა ღირს... მე ბედნიერების მომხრე ვარ. ბედნიერება კი მუდმივობაში და იმაშია, რომ არ იცვლებოდნენ.

* * *

ქალი ვალდებულია, ისე იყვეს ჩაცმული, რომ ეგრევე მისი გატიტვლება მოგინდეს.

* * *

გაღმერთებგა, დუმილი და სილამაზე – ეს არის შენი იარაღი.

* * *

სუყოველი ქალი იმ ასაკისაა, რასაც თავად იმსახურებს.

* * *

ქალის მოტყუების აზრი გრძნობათა მოტყუებაშია.

* * *

თუ ქალი ბოროტად იყენებს სუნამოებს, იმას მომავალი არა აქვს – მეგობრებსა და თაყვანისმცემლებში მხოლოდ გაღიზიანების გამოწვევა შეუძლია.

* * *

ქალს ხელს აძლევს ყველანაირი ფერი, უფერულობისა გარდა. მითქვამს და ვიტყვი, რომ შავმა დაიმორჩილა ყველაფერი, თეთრმაც. ორივე სრულყოფილია, ორივ მშვენიერია მუდამ და ყოველგან. გაგზავნეთ ქალი სადმე მეჯლისზე შავად ან თეთრად შემოსილი და სუყოველნი მხოლოდ იმას შეამჩნევენ.

* * *

სასოწარკვეთილი ქალი ეგრევე ქალობას კარგავს.

* * *

რათა შეუცვლელი დარჩე, სხვას ვისმე რამით ნუ დაემსგავსები.

* * *

ხელები ყმაწვილქალის სავიზიტო ბარათია, კისერი პასპორტია, ძუძუ-მკერდი კი – საზღვარგარეთის პასპორტი.

* * *

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39

სუყოველმა ყმაწვილქალმა მუდამ უნდა იცოდეს სულ ცოტა ორი რამ – რა და ვინ უნდა.

* * *

ყმაწვილქალს ერთდროულად ორი რამ უნდა შეეძლოს: იყვეს დახვეწილი და ზღაპრული.

* * *

დღისით თოჯინა იყავი და საღამოთი მოფარფატე პეპელა, იმიტომ, რომ არცაა უფრო კეთილმოწყობილი რამ, ვიდრე ჭიის პარკი და სასიყვარულოდ მიმზიდველი, ვიდრე პეპლის მსუბუქი ფრთებია.

* * *

ის ქალები, ვინც ყურს არ უგდებს კაცებს მოდის საკითხებში და ამასთანავე მხოლოდ დაქალთ ეთათბირებიან, ხშირად სასაცილონი ხდებიან გარშემო მყოფთათვის.

* * *

არცროდის მოშვება არ ეგების, მუდამ შნოიანად უნდა გამოიყურებოდე. არ ეგების აგრეთვე ცუდ გუნებაზე ყოფნა საზოგადოებაში, მეტადრე ახლობლების წრეში. იმათ შიში იპყრობთ, მტრები კი, პირიქით, თავს ბედნიერად გრძნობენ. ამიტომ, რაც არ უნდა ხდებოდეს, აუცილებელია იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამოიყურები.

* * *

ძველად ქალები თავიანთ მიწა-წყალზე იბრძოდნენ, ის კი არა, საკუთარ მიწა-წყალზე მარცხი გამარჯვებად მიიჩნეოდა. ახლა კი ქალები კაცების მიწა-წყალზე იბრძვიან, და, სამწუხაროდ, სუყოველი იმათი გამარჯვება დამარცხებად მიიჩნევა.

* * *

ქალისთვის სულაც არამთავარია ჩაცმულობა, მთავარი სინაზეა, წინდახედულობა და მკაცრი დღის რეჟიმი.

* * *

კაცებს მუდამ ისეთი ქალები მოსწონთ, კარგად და გემოვნებით რომ არიან შემოსილი, ოღონდ ამასთანავე არა თვალში საცემად რომ გამოიყურებიან.

* * *

ჩინებულად და დახვეწილად რომ გამოიყურებოდე, სულაც საჭირო არ არის, რომ ახალგაზრდა და თვალმშვენიერი იყვე.

* * *

...როგორც სწორად უთქვამთ: არ ეგების ბევრი ბუნებრივი ძვირფასეულობის თან ტარება, თუ გარშემო არა ჩანან ქალები, ვისაც რიოში ძვირფასეულობა ზედ გამოუფენია.

* * *

თუ ყმაწვილქალი მაკიაჟს ზედმეტად მიიჩნევს, იმას ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე.

* * *

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ორმოცი წლის მერე უკვე ახალგაზრდები აღარა ვართ, მაგრამ ქალი შეიძლება რომ სუყოველი ასაკისა იყვეს თვალწარმტაცი, მორჩა და გათავდა.

* * *

დედამიწის ზურგზე არცვინ ისეთი ქალი არ არის, ვინც დილით გაიღვიძებს, სარკეში არ ჩაიხედავს და არ იფიქრებს, დღეს როგორ შევიმოსოო.

* * *

სუყოველი ქალი თავის ხვალინდელ დღეზე ხან ფიქრობს, ხან თხოვდება, კაცები კი ხან ფიქრობენ თავიანთ მომავალზე, სანამ დაოჯახდებოდნენ.

* * *

ქალებს, როგორც წესი, მეგობრები არა ჰყვანან, ისინი ან უყვართ ან სძულთ.

* * *

უშნოფეხებიანი ქალები სულ ტყუილად ფიქრობენ, გრძელ კაბებში ფეხები არ გამოგვიჩნდებაო, მაგრამ საქმეს ვერც გრძელი კაბა შველის და ვერც გრძელი ქვედატანი.

* * *

ქალისთვის მთავარია, რომ მუდმივად მუშაობდეს, რადგან მხოლოდ სამუშაო ამხნევებს სულს, გამხნევებული სული კი ზრუნავს ქალის ტანზე.

* * *

ღიაფრად შემოსილ ქალს გუნება-განწყობილებას ძნელად თუ გაუფუჭებ.

* * *

ქალები შეიძლება რომ საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებოდნენ. რასაკვირველია, სუყველა ქალზე არ ვამბობ. სასაცილო კაცი კი დამთავრებულია, თუ გენიოსი არ არის.

* * *

იმ დროს თავის შეკავება, როცა ძალიან გაგანაწყენებენ და ამასთანავე თუ არ გაგიჟდები, როცა გულს გატკენენ – უკვე იდეალური ქალი ხარ.

* * *

ასაკი ქალისთვის სულაც მთავარი არ არის, ვინაიდან 20 წლისაც შეიძლება რომ მიმზიდველი იყვე, მომხიბვლელი და დახვეწილი 40 წლისა და თვალწარმტაცად დარჩე სიცოცხლის ბოლომდე.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

როცა მარცხენამ არ იცის, მარჯვენა რას აკეთებს!

ჰონგკონგის ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, კორონავირუსის გამო შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, 18 წელს ზევით ყველა მოქალაქე ხელისუფლებისგან დახმარების სახით 1200 დოლარს მიიღებს. ამის მიზანი ის არის, რომ მიღებულმა დახმარებამ ჰონგკონგის მცხოვრებლებს მოხმარების ჩვეული დონის შენარჩუნებასა და ეკონომიკის მხარდაჭერაში შეუწყოს ხელი.

მთავარი ამ ინფორმაციაში ის არის, რომ მსოფლიოში ხელისუფალთა საკუთარი მოსახლეობისადმი გულისყურიანი დამოკიდებულება სულაც არ არის ერთეული შემთხვევა, თუმცა მთავარ სათქმელს ბოლოსთვის შემოვინახავ.

აზიელ ხელისუფალთა დარად თავის ქვეშევრდომებზე იზრუნა საუდის არაბეთის ხელმწიფემ მას შემდეგ, რაც 2017 წელს, ბენზინის გაძვირებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში ასევე მოიმატა დამატებითი ღირებულების გადასახადმაც: 2018 წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების ყველა თანამშრომელი, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურე და პენსიონერი ყოველთვიურად 260-დოლარიან ანაზღაურებას იღებდა.

ახლა მთავარ სათქმელს მოგახსენებთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ უკვე თავადაც იცის ამის შესახებ: კორონავირუსით დაავადებით შესაძლებელი საშიშროების გამო ბოლო დროს მოიმატა სხვადასხვა პროფილაქტიკურ საშუალებებზე, მათ შორის, სამედიცინო პირბადეებზე მოთხოვნამ. ამით უმალ ისარგებლეს სამამულო ფარმაცევტულმა კომპანიებმა და სულ რამდენიმე დღის განმავლობაში მათზე ფასები გააათმაგეს! მეტიც, ზოგიერთ სააფთიაქო ქსელში ფასები უფრო მაღალიცაა, თანაც ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა განცხადებების მიუხედავად, თბილისში მათი ნაკლებობაა. მას შემდეგ, რაც რედაქციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქალბატონმა რამდენიმე დიდ სააფთიაქო ქსელში ნიღბებს ვერ მიაგნო **(რომელთა მოხმარების წესების თანახმად, როგორც ვიცით, მათი გამოცვლა ყოველ ორ საათშია აუცილებელი და ამდენად, მომუშავე ადამიანისთვის ყოველდღიურად, სულ მცირე, ნ ცალი მაინცაა საჭირო — ო.ტ.)**, ერთ-ერთი პატარა კომპანიის აფთიაქში **(რომლის დასახელებას შეგნებულად არ ვამხელთ, რათა ანტირეკლამაში არ ჩაგვითვალონ — ო.ტ.)** ორ ცალში 3,5 ლარი გადაიხადა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში თითოეულმა ჩვენგანმა 8.35 ლარი ყოველდღიურად მარტო სამედიცინო ნიღბებზე უნდა დავხარჯოთ!

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კორონავირუსის შეყრის მაღალი რისკის ჯგუფში მყოფი პენსიონერების ყოველთვიური შემოსავალი 220 (ორასოცი) ლარია, სოციალურად დაუცველ პირებს კი ყოველდღიურად 1,3 ლარად ასადილებენ!

სამედიცინო ნიღბების ფასის მომატების ამბის გაგების შემდეგ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება გადავწყვიტე და რამდენიმე დიდი საფთიაქო ქსელის, მათ შორის **„პეესპეს“, „ფარმადეპოსა“** და **„ავერსის“** ობიექტებს მივაკითხე. იმის მიუხედავად, რომ ნიღბებზე ძველი ფასები არც ერთ მათგანში არ გაზრდილა (რაც 15-20 თეთრის ფარგლებში მერყეობს), კვირაზე მეტი ხანია, ისინი გაყიდვაში არ აქვთ! არადა, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანთა, მათ შორის მინისტრ ტიკარაძის მტკიცებით, „შექმნილი ვითარების პირობებში სამედიცინო-პროფილაქტიკური საშუალებების ნაკლებობის არანაირი საფრთხე არ არსებობს“.

კარგად მესმის, რომ კერძო საფთიაქო ქსელებში ამა თუ იმ სამედიცინო საშუალებების — პროფილაქტიკური იქნება ის თუ სამკურნალო, არსებობა-არარსებობა მინისტრის ყოველდღიური საზრუნავი სულაც არ არის, მაგრამ, როცა მსოფლიო ფეხზე დგას კორონავირუსის პანდემიის მრისხანე მუქარის წინაშე, ის და მისი ხელქვეითები ტყუილ დაპირებებს რომ იძლევიან, განა ეს საქმეა?! აღარაფერს ვამბობ იმ ყბადაღებულ „ერთლარიან“ წამლებზე, რასაც ერთი თუ ორი თვე ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში გარკვეული კატეგორიის პაციენტებს კი აძლევდნენ, მაგრამ მინისტრ ტიკარაძის სავარძელში განთავსების შემდეგ, მათი უმეტესობის მიღება შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზით, რომ ამაზე მიმაგრებულ ქსელში ისინი უკვე რამდენი თვეა, აღარ შეაქვთ!

თავის დროზე (სხვათა შორის, სავსებით სამართლიანადაც!), ყველაფერი საფთიაქო მაფიას ბრალდებოდა, რომელიც მოსახლეობის ავაზაკურ ყვლეფას დღეს-დღეობითაც გულარხეინად ისე განაგრძობს, რომ მისთვის „თითის დაქნევას“ არავინ ფიქრობს. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ მოსახლეობის თუნდაც გარკვეული ნაწილისთვის წამლების შედარებით შეღავათიანად მიწოდებას თავად სახელისუფლებო დონეზე უშლიან ხელს. ამის დასტურად შეგახსენებთ, რომ შარშან, წლის მიწურულს, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა კახა კუკავამ დააანონსა, რომ მათი თაოსნობით ქვეყანაში თურქეთიდან რამდენიმე დასახელების მედიკამენტებს შემოიტანდნენ გაცილებით ნაკლებ ფასად, ვიდრე ისინი სხვადასხვა სამამულო საცალო ქსელებში იყიდება. მაგრამ, აგერ უკვე თითქმის ნახევარი წელია, რაც (ამის გაკეთება ბატონმა კუკავამ, თუ არ ვცდები, სულ ორჯერ შეძლო) ჯანდაცვის სამინისტრო თურქეთიდან წამლების შემოტანის უფლებას არ აძლევს. პარტიის ოფისში მიღებული ინფორმაციით კი ამ ნებართვის მისაღებად განცხადება პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში უკვე რამდენიმე თვეა, „უმოძრაოდ“ დევს, პასუხს კი საშველი არ დაადგა...

ასეთია კორონავირუსის პროფილაქტიკურ საშუალებებთან და, ზოგადად, საფთიაქო-სახელისუფლებო ფრონტის საგაზაფხულო, თუმცა კი უხალისო ამბები...

ოთარ ტურაბელიძე

საკარანტინო სივრცესა და თვითიზოლაციაში მყოფ პირებს გაცდენილი სამუშაო დღეები სრულად აუნაზღაურდებათ

შესაბამისი ცვლილებები ჯანდაცვის მინისტრის №281/ნ ბრძანებაში განხორციელდება.

„კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ეფექტური ღონისძიებების განსახორციელებლად, ეპიდემიის გავრცელების აღკვეთის მიზნით, ჯანდაცვის მინისტრის №281/ნ ბრძანებაში ცვლილებები განხორციელდება. კერძოდ, კარანტინში ან თვითიზოლაციაში მყოფ პირებთან დაკავშირებით, სამინისტრო გასცემს საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) ტოლფას ცნობას, რომლის საფუძველზეც დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩაეთვლებათ და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები“, — აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში.

სამგზავრო მატარებლებისა და სადგურების დეზინფიცირება ყოველდღიურად ჩატარდება

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, „საქართველოს რკინიგზის“ მაგისტრალური და საგარეუბნო მიმოსვლის ყველა მატარებელი და სარკინიგზო სადგურები ყოველდღიურად სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება.

გარდა იმისა, რომ მათი დასუფთავება და სველი წესით დალაგება, დადგენილი ნორმების შესაბამისად ყოველდღე მიმდინარეობდა, სარკინიგზო შემადგენლობებში და სადგურებში დამატებითი დეზინფექცია ჩატარდება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული სადეზინფექციო საშუალებებით. ასევე, ყველა სამგზავრო მატარებელში და სადგურებზე დამონტაჟდება ხელის სადეზინფექციო ხსნარის დისპენსერები. სარკინიგზო ტრანსპორტისა და სადგურების დეზინფიცირების რეკომენდაცია კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს მხრიდან გაიცა.

ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2019 წლის ფინანსური ანგარიში

2019 წელს სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის 108835 ლარი.

2019 წელს გაწეულია **99346** ლარის ხარჯი. ჩატარდა 42 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ომის მონაწილის 4 ვეტერანთან შეხვედრა, 95 ვეტერან-ქალბატონებისთვის 3 და 8 მარტის აღნიშვნა და დეკემბრის თვეში მოეწყო 85 წლის და ზევით 29 ვეტერან-ენერგეტიკოსებთან შეხვედრა - სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე გადაცემული იყო **4976** ლარის საჩუქარი.

2019 წელს 174 ვეტერანზე გაცემულია დახმარება **26456** ლარი, გაწეულია საკანცელარიო ხარჯი **857** ლარი, ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა **44524** ლარი, წახალისების ფონდის (ჯილდო,პრემია) ხარჯმა შეადგინა **16950** ლარი, კომუნიკაციურ მომსახურეობაზე დაიხარჯა **1066** ლარი, ჩარიცხვის საკომისიოს ხარჯი 1 ლარი, ბანკის მომსახურეობისათვის გადახდილია **153** ლარი, გაზეთში განცხადებების განთავსებაზე დახარჯულია **1469** ლარი, კომპიუტერის ხარჯი **175** ლარი, დარიცხულია 2019 წლის ამორტიზაცია **160** ლარი, დაერიცხა ქონების გადასახადი 7 ლარი,ჟურნალ-გაზეთების გამოწერისათვის დახარჯულია **301** ლარი, აუდიტის მომსახურეობაზე გადახდილია **300** ლარი,ოფისის იჯარისთვის გადახდილია **600** ლარი,იუბილარი ვეტერანების ღონისძიებებზე და ვეტერანებთან შეხვედრებზე სურათების დამზადებაზე დახარჯულია 32 ლარი, ექსკურსიის მომსახურეობაზე გაწეულია 250 ლარი,იუბილარ და ომის მონაწილე ვეტერანებისთვის მოწყობილ ფურშეტზე დაიხარჯა 825 ლარი,დაგროვებითი პენსიის ხარჯი 244 ლარი.

ბალანსი 1/01-2020 წლისთვის

აქტივი	წლის დასაწყისისი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს	პასივი	წლის დასაწყისისი	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები (1110, 1210)	8035	7528	მიმდინარე ვალდებულებები		59
სხვა მიმდინარე აქტივები (1490, 1700, 1900)	3053	5212	შემოსავალი (6190)	11889	13322
გრძელვადიანი აქტივები (2160)	801	641	სხვა მიმდინარე ვალდებულებები (3320)		
სულ აქტივები	11889	13381	სულ პასივები	11889	13381

თავმჯდომარე — **იაშა ბოლქვაძე**
ბუღალტერი — **ციცინო ბენაშვილი**
ფინანსური მენეჯერი — **ნინო ჩიორგაძე**

C ჰეპატიტისგან 60 000-ზე მეტი ადამიანი განიკურნა

საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემსწავლელი კომისიის სხდომა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 27 თებერვალს გაიმართა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „საქართველოში მედიცინის აქტუალურ პრობლემათა შემწავლელი კომისიის“ მე-5 სხდომა, რომელიც მიეძღვნა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორიცაა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა.

სხდომა გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ**. მასში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა **არჩილ ჩხოტუამ**; ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა **ნოდარ მითაგვარიამ**; პარლამენტის ჯანმრთელობის კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ **აკაკი ზოიძემ**; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა **ამირან გამყრელიძემ**; ს.ს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა, პროფესორმა **თენგიზ ცერცვაძემ**, აკადემიკოსებმა, დარგის ექსპერტებმა.

პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ, თავის მოხსენებაში მიმოიხილა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განვითარების მოკლე ისტორია და ძირითადი ეტაპები. მან ხაზი გაუსვა ამ პროგრამის მიზანს, ამოცანებსა და ძირითად მახასიათებლებს. აღინიშნა, რომ პროგრამის საბოლოო მიზანია დაავადების ახალი შემთხვევების ნულამდე დაყვანა და ინფიცირებულ პირთა რაოდენობის 90%-ით შემცირება. მან გააანალიზა პროგრამის ძირითადი მიღწევები, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. კერძოდ, ძირითად გამოწვევებად დასახელდა: სამკურნალო ცენტრების სიმწირე ზოგიერთ გეოგრაფიულ ადგილებში; მკურნალობის და მოვლის სერვისებში დაკარგული პაციენტების მართვა; რეინფექციის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირებისთვის მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური ბარიერების მოხსნა და პროგრამის გაფართოება HBV ინფექციის დიაგნოსტიკის და მკურნალობის უზრუნველყოფის მხრივ. პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ კომისიას მიაწოდა აღნიშნული გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელი რეკომენდაციები.

ქვეყანაში C ჰეპატიტის სკრინინგის შედეგები და სამომავლო გეგმები გააანალიზა თავის მოხსენებაში პროფესორმა ამირან გამყრელიძემ. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია ქვეყანაში ინფიცირებულ პირთა 90%-ის გამოვლენა, მათგან 95%-ის მკურნალობა და ნამკურნალებ პირთა 95%-ის განკურნება. მან ხაზი გაუსვა პროგრამის წარმატებულ მიმდინარეობას, რაც ციფრებში ასე აისახება: 2020 წლის 24 თებერვლისთვის უკვე გამოკვლეულია 2 148 401 ადამიანი, რომელთაგან 149 579 (6,96%) C ჰეპატიტზე დადებითი აღმოჩნდა. ნამკურნალებია 65187 პაციენტი, რომელთაგან 98.8% განკურნებულია! აღინიშნა, რომ პროგრამის დასრულებისთვის აუცილებელია კიდევ დაახლოებით 1 000 000 ადამიანის სკრინინგ გამოკვლევა.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის სამეცნიერო კომიტეტის კოორდინატორმა, ქალბატონმა თინათინ ქუჩულორიამ, კომისიას გააცნო პროგრამის ზედამხედველი სამეცნიერო საბჭოს მუშაობის სპეციფიკა და მათ მიერ ხორცშესხმული სამეცნერო პროექტები. აღინიშნა სამეცნიერო პუბლიკაციები და მოხსენებები, რომლითაც ამ უნიკალური პროგრამის შედეგები გაშუქდა საერთაშორისო მასშტაბით.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა დისკუსია. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ არჩილ ჩხოტუას შეკითხვებს უპასუხეს მომხსენებლებმა. კერძოდ, შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე გართულებებს მკურნალობის პროცესში, პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ თქვა, რომ მათ მიერ არ ყოფილა გამოვლენილი კლინიკურად მნიშვნელოვანი გართულებები. შეკითხვაზე, თუ გაგრძელდა ინფიცირებულ პირთა გამოვლენის არსებული ტემპები, რამდენ ხანში იქნება შესაძლებელი პროგრამის დასრულება, პროფესორმა ცერცვაძემ აღნიშნა, რომ 2025 წელი უნდა იყოს პროგრამის დასრულების ოპტიმალური ვადა. პროფესორ ამირან გამყრელიძის აზრით, პროგრამის წარმატებით დასრულება შესაძლებელია 2-3 წელიწადშიც.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს კომისიის წევრებმა, აკადემიკოსებმა, ექსპერტებმა. სხდომა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ არჩილ ჩხოტუამ. მან გამოხატა დამსწრე საზოგადოების საერთო აზრი, რომ საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა არის ქართული მედიცინის ისტორიაში წარმოებული ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. ამ დროისთვის გაწეული სამუშაო და მიღწეული დადებითი შედეგები იძლევა რეალისტურ პროგნოზს, რომ პროგრამა წარმატებით დასრულდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

რომის პაპს კორონავირუსი არ დაუდგინდა

გავლენიანი საინფორმაციო საშუალებები BBC-ი და Reuters-ი, იტალიურ მედიაზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ **რომის პაპს ფრანცისკეს კორონავირუსი არ დაუდგინდა.**



მიუხედავად ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით ვატიკანს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ეჭვი რომის პაპის კორონავირუსით დაინფიცირების შესახებ მას შემდეგ გაჩნდა დასავლურ მედიაში, რაც ავადმყოფობის გამო მან რამდენიმე უკვე შეთანხმებული შეხვედრა და ერთობლივი ლოცვა გამოტოვა.

უფრო ადრე გავრცელდა ხმები, რომ გასული კვირის ოთხშაბათის მესაზე რომის პაპი ახველებდა და სურდო ჰქონდა.

83 წლის პონტიფიკოსს ახალგაზრდობისას რესპირატორული დაავადების გამო ერთი ფილტვი ამოკვეთეს.

დაინფიცირებული 98 წლის ქალი განიკურნა

ჩინეთში, უხანში კორონავირუსით დაინფიცირებული ადგილობრივი მცხოვრები 98 წლის ქალი განიკურნა.

სავარაუდოდ, ჩინელი ქალი პირველი ყველაზე ხანდაზმული ადამიანია, რომელმაც ამ ვირუსის დამარცხება შეძლო.

მედიის ცნობით, ხანდაზმული ქალი რამდენიმე დღის წინათ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი კლინიკაში გადაიყვანეს. მასთან ერთად მისი 55 წლის ქალიშვილის ჰოსპიტალიზებაც მოხდა, რომელსაც ასევე კორონავირუსი დაუდგინდა.

მედიკამენტოზური მკურნალობის შემდეგ პაციენტებმა თავი უკეთ იგრძნეს. ექიმებმა 98 წლის ქალი მალევე გაწერეს საავადმყოფოდან.

არაფერს იუწყებიან მისი ქალიშვილის გამოჯანმრთელების შესახებ, თუმცა სავარაუდოდ მანაც შეძლო კორონავირუსის დამარცხება, რადგან საავადმყოფო დედასთან ერთად დატოვა.



ზოგი ჭირი...

ირანში კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში, 54 ათასი პატიმარი დროებით გაათავისუფლეს ციხიდან

მათ კორონავირუსის ტესტი უკვე ჩაუტარეს და მსჯავრდებულებს ვირუსი არ დაუდგინდათ. ყველა პატიმარს გათავისუფლებამდე გირაოს გადახდა მოუწია.

ირანში კორონავირუსის შედეგად გარდაცვლილია 77 ადამიანი. ინფიცირებულთა რიცხვი კი 2336-ია. მათგან 835-ს ვირუსის დიაგნოზი 3 მარტს დაუსვეს.

ინფიცირებულთა შორის არიან ირანის მთავრობის წევრები. აღსანიშნავია, რომ ვირუსი დაუდასტურდა ირანის საგანგებო სამედიცინო სამსახურის უფროსს. ინფიცირებულია 23 დეპუტატიც.

ვირუსთან საბრძოლველად ირანის ჯანდაცვის სამინისტრო 4 მარტიდან ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეთა სკრინინგის პროგრამას დაიწყებს.

დედოფალმა დაჯილდოების ცერემონია ხელთათმანებით ჩაატარა

პირველად ათწლეულების განმავლობაში დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბედ მეორემ დაჯილდოების ტრადიციული ცერემონია ხელთათმანებით ჩაატარა.

დედოფლის კანცელარიაში არ დაუზუსტებიათ, უკავშირდებოდა თუ არა ეს ფაქტი კორონავირუსით ინფიცირების პრევენციას. სამეფო ოჯახის შესახებ გამოცემის რედაქტორი ჯო ლითლი ამბობს, რომ დედოფლის მხრიდან ეს გონივრული ნაბიჯი იყო.

„დედოფალი ისეთ ასაკშია, როდესაც ადამიანი მსგავსი ვირუსებისადმი დაუცველია. შეიძლებოდა ცერემონიის გაუქმება, თუმცა დედოფალს სურს, ყველაფერი ჩეულებრივი დღის წესრიგით ხდებოდეს“, — აღნიშნა მან.

◎ ერთა ლიგა

საქართველო ესტონეთით დაიწყებს და დაასრულებს

დაზუსტდა ერთა ლიგის 2020-2021 წლების სეზონის ჯგუფური ეტაპის კალენდარი. საქართველოს ნაკრები C ლიგის მეორე ჯგუფში ითამაშებს, მისი მეტოქეები კი ჩრდილოეთ მაკედონია, სომხეთი და ესტონეთი იქნებიან.

სწორედ ბალტიისპირელებთან მატჩით გახსნიან (5 სექტემბერს) და დაასრულებენ (16 ნოემბერს) „ჯვაროსნები“ ტურნირის პირველ რაუნდს:

I ტური, 5 სექტემბერი. ესტონეთი — **საქართველო,** ჩრდ. მაკედონია — სომხეთი.

II ტური. 8 სექტემბერი. საქართველო — ჩრდ. მაკედონია, სომხეთი — ესტონეთი.

III ტური. 8 ოქტომბერი. სომხეთი — **საქართველო,** ესტონეთი — ჩრდ. მაკედონია.

IV ტური. 11 ოქტომბერი. ჩრდ. მაკედონია — **საქართველო,** ესტონეთი — სომხეთი.

V ტური. 13 ნოემბერი. საქართველო — სომხეთი, ჩრდ. მაკედონია — ესტონეთი.

VI ტური. 16 ნოემბერი. საქართველო - — ესტონეთი, სომხეთი — ჩრდ. მაკედონია.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

25 ქულა 24 წუთში

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაში გიორგი შერმადინი შედეგიან თამაშს აგრძელებს. მერვედფინალის პირველ შეხვედრაში „იბეროსტარ ტენერიფემ“ „ოსტენდეს“ უმასპინძლა და ბელგიელთა ძლევა ადვილად — 85:75 მოახერხა.

ესპანელები უპირატესობას საწყისი წუთებიდანვე დაეუფლნენ და თამაში ლოგიკურ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

გიორგის მატჩის MVP-ის ტიტულამდე ძალიან ცოტა დააკლდა. მან პარკეტზე 24 წუთი გაატარა, მაგრამ 25 ქულა მაინც მოაგროვა, ამასთან, 5 მოხსნა, 1 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 13-დან 9 ორქულიანი (69.2%) და 8-დან 7 საჯარიმო (87.5%) ჩააგდო, რის შედეგადაც მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 28-ს გაუტოლდა.

25 ქულით ჩვენებური მატჩის საუკეთესო მექულე გახდა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიცენტის მაჩვენებლით მცირედით ჩამორჩა თანაგუნდელ მარსელინიო უერტასს (29).

ამრიგად, „იბეროსტარ ტენერიფე“ სერიაში დაწინაურდა — 1:0, ხოლო მეორე მატჩი 10 მარტს ბელგიაში შედგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ არის, ასრულდა!

ეს ერთი და სხვა მრავალი

თბილისის „დინამომ“ წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგაში ისტორიული, პირველი გამარჯვება მოიპოვა. რევაზ ჩომახიძის გუნდისთვის ეს დრო მეათე ტურში და თბილისში დადგა.

ქართველმა წყალბურთელებმა ფრანგულ „მარსელს“ უმასპინძლეს და ნანატრი წარმატება დამსახურებულადაც იზეიმეს. „დინამომ“ შეხვედრა ძალიან კარგად დაიწყო და პირველივე პერიოდში სოლიდურ, ოთხბურთიანი უპირატესობას დაეუფლა, რომელიც, ცხადია, აღარ გაანიავა.

მასპინძლები სამი პერიოდის განმავლობაში აკონტროლებდნენ თამაშს და დასკვნითი მეოთხედის წინ 7-ბურთიანი ჰანდიკაპიც ჰქონდათ, რომელიც ბოლო რვა წუთში ფრანგებმა ვეღარ აღმოფხვრეს - 15:12. აღსანიშნავია, რომ შეხვედრა კორონავირუსის გამო უმაყურებლოდ ჩატარდა.

„დინამოს“ B ჯგუფში 1 მოგებითა და 9 წაგებით ისევ ბოლო, მერვე პოზიცია უკავია, მომდევნო მატჩს კი 10 აპრილს სტუმრად ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერ უნგრულ „ფერენცვაროშთან“ გამართავს.

ბეჟან დოლიძე

◎ ფიგურული სრიალი

რეიტინგის სათავეში

საერთაშორისო საციგურაო კავშირმა ყოველწლიური ფიგურისტთა მსოფლიო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელიც სპორტსმენთა მიერ ოლიმპიურ თამაშებზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, გრან პრის ეტაპებზე, ფინალსა და სხვა საერთაშორისო ტურნირებზე საპრიზო ადგილებითა და დაგროვილი ქულათა ჯამით განისაზღვრება.

ტალინში გასამართავი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ აღნიშნულ ნუსხაში სპორტულ ცეკვებში წამყვან პოზიციაზეა მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას წყვილი, რომლებიც მომავალი ფორუმის ფავორიტები არიან. ისინი იუნიორთა მსოფლიო რეიტინგში 2027 ქულით 1 ადგილზე არიან. ამასთან, 2019 წლის გრან პრის ფინალში მოპოვებული ოქროს მედალი და 174,90 ქულა ქართული დუეტისთვის სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია.

ესტონურ მუნდიალზე გამოსვლას ქართველი მოციგურავე ალინა ურუშაძეც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით იწყებს. მას იუნიორთა შორის მსოფლიო რეიტინგში ჯამური 1210 ქულით აზერბაიჯანელ და ამერიკელ თანატოლთა შემდეგ მესამე პოზიცია უჭირავს, ხოლო სეზონის საუკეთესო შედეგი ალინა ურუშაძემ 2020 წლის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე აჩვენა — 179.50 ქულა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კარატე

შინ და გარეთ

მოგეხსენებათ, სპორტული კალენდარი დახუნძლულია სხვადასხვა რანგის ტურნირებით, ამიტომ თითოეული მათგანის პერიპეტიების გულშემატკივართათვის გაცნობა, გარკვეულწილად, შეუძლებელიც გახლავთ. გამონაკლისს არც კარატე წარმოადგენს, რომელიც ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ზოგიერთი შარშანდელი საერთაშორისო ასპარეზობის ქართველ ჩემპიონთა და პრიზიორთა ნუსხის შემოთავაზებით, ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილებთ მკითხველთა და ქომაგთა ინტერესს.

ბათუმი. ტრადიციული საერთაშორისო ჩემპიონატი. ორგანიზატორი — საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაცია.

6-7-წლიანები. ნიკა მაისურაძე — II ადგილი (ინდივიდუალური კატა).

8-9-წლიანები. ლუკა კერესელიძე — II ადგილი (ინდივიდუალური კატა),
III ადგილი (ინდივიდუალური კუმიტე).

10-11-წლიანები. მერაბ მაკარაშვილი — III ადგილი (ინდივიდუალური კატა).

12-13-წლიანები. ანდრია კარბაია — I ადგილი (ინდივიდუალური კატა).

აღსანიშნავია აგრეთვე დებიუტანტების — ნიკა ველთაურის, ნიკა მახნიაშვილისა და გიგა გვაგვალიას მიერ დაკავებული საპატიო IV ადგილები.

ერევანი. XII საერთაშორისო ჩემპიონატი ერევან ოუფენ. ორგანიზატორი — სომხეთის კარატეს კონფედერაცია. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი — საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი **მზეჭაბუკ მახარაძე.**

10-11-წლიანები. ლაშა მორგოშია — III ადგილი (ინდივიდუალური კატა).

14-15-წლიანები. ანდრია კარბაია — I ადგილი (ინდივიდუალური კატა).

ამჯერადაც წარმატებულად შეიძლება შეფასდეს ნიკა მახნიაშვილის გამოსვლა, რომელიც IV ადგილს დასჯერდა.

კასპი. საქართველოს ღია ჩემპიონატი. ორგანიზატორი — ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

12-13-წლიანები. ნიკა ყარმაზანაშვილი — I ადგილი (ინდივიდუალური კუმიტე, — 55 კგ წონით კატეგორია).

12-13-წლიანები. მერაბ მაკარაშვილი — II ადგილი (ინდივიდუალური კუმიტე, — 55 კგ წონითი კატეგორია).

თბილისი. დედაქალაქის ღია ჩემპიონატი თბილისი ოუფენ.

6-7-წლიანები. ანდრია მეგრელიშვილი — III ადგილი (ინდივიდუალური კატა).

12-13-წლიანები. ნიკა მახნიაშვილი — III ადგილი (ინდივიდუალური კატა).

14-15-წლიანები. ანდრია კარბაია — I ადგილი (ინდივიდუალური კატა).

კოგა კოგახიძე

◎ სანთელი

მადლიანი კაცი

ვიდრე ქართული ფეხბურთი იარსებებს, მის ქომაგს მუდამ ემახსოვრება შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ექს-თავკაცი შოთა ვარლამის ძე გორგოძე.

მოგეხსენებათ, ძალოვანი სტრუქტურის ეგიდით თამაში „დინამოს“ პროტოკოლითაც უწევდა, ბატონი შოთას განსაკუთრებულ როლს კი ერთი ფაქტი მოწმობს:

სწორედ მას, ჯერ კიდევ მინისტრის მოადგილეს, წილად ხვდა ქართული დელეგაციის ხელმძღვანელობის პატივი ჩვენთვის დაუვიწყარი 1981 წლის 13 მაისის ისტორიულ შეხვედრაზე, როცა თბილისის „დინამომ“ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ გამართულ ფინალში იენის „კარლ ცაისი“ დაამარცხა 2:1 და თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.

გულშემატკივარი კარგადაა ინფორმირებული სატიტულო ბრძოლაზე გამგზავრებამდე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მომხდარი შემთხვევის შესახებ, სადაც ედუარდ შევარდნაძის წინადადებას — ოღონდ მოიგეთ და რასაც მთხოვთ, შეგისრულებთო, — დავით ყიფიანის პასუხი მოჰყვა: თუ გამარჯვებულნი დავბრუნდით, გორგოძე მინისტრად დაანიშნურეთო...

ბევრი კოლეგისგან კოლორიტულ პიროვნებას ადამიანური თვისებებიც გამოარჩევდა, როგორიცაა კაცთმოყვარეობის, თანადგომისა და ყურადღების მისთვის დამახასიათებელი ნიჭი.

ამიტომაცაა, დიდი გულისტკივილით რომ ეთხოვება მადლიერი საზოგადოება.

„სრ“ რედაქცია.

არდავიწყება

მარად დაუვიწყარი შოთა გორგოძე

განგების ნებით მარადიულობაში დაივანა ჭეშმარიტი მამულიშვილის, სამშობლოზე შეყვარებული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკის, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტის **შოთა გორგოძის** სულმა.

შოთა გორგოძემ დაამთავრა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, ზესტაფონის რაიონის სოფელ ილემის საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის ინსტიტუტში საინჟინრო ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის „ელექტროგამშვებ“ ქარხანაში, საიდანაც გადაიყვანეს პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიონულ კომიტეტში ინსტრუქტორად, ხოლო 1965 წლიდან პარტიის რეკომენდაციით დაწინაურეს შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც პერსპექტიულმა ახალგაზრდამ. მალე გახდა სამმართველოს უფროსი. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო 1985 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა მინისტრად.

მინისტრად მუშაობისას ბატონმა შოთა გორგოძემ განვლო მეტად ძნელი და წინააღმდეგობებით დატვირთული ქვეყნის პირველი პოლიციელის ურთულესი გზა.

80-იანი წლების მიწურულის სამოქალაქო დაპირისპირების ხანა ყველას კარგად გვახსოვს. მინისტრ შოთა გორგოძეს ბეწვის ხიდზე უწევდა გავლა. იგი ერთნაირად მისაღები და ავტორიტეტული იყო დაპირისპირებული მხარეებისთვის. იმ პერიოდში ბატონი შოთას პროფესიული და ადამიანური თვისებებით შესაძლებელი გახდა დიდი სისხლისღვრის შეჩერება, ქვეყანაში დამყარდა საზოგადოებრივი წესრიგი.

იმყოფებოდა რა შინაგან საქმეთა ორგანოებში, იერარქიულად მაღალ თანამდებობებზე (მან მოგვიანებით იურიდიული განათლებაც მიიღო) ყოველთვის გამოირჩეოდა ხელქვეითებისა და პირადი შემადგენლობის მიმართ დიდი გულისხმიერებით, იყო მათი სამართლიანი დამცველი და გვერდში მდგომი.

შოთა გორგოძეს ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სპორტის, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ არნახულ წარმატებებსა და განვითარებაში. კერძოდ, 1981 წლის 13 მაისს ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვებაში შეტანილი მისი განსაკუთრებული წვლილი დაუვიწყარია ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრისთვის.

ბატონ შოთას მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მინიჭებული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკისა და დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდებები. ფლობდა სახელმწიფო ჯილდოებს — ოქტომბრის რევოლუციის, ვახტანგ გორგასლის, ღირსების ორდენებსა და მრავალ მედალს.

წლების განმავლობაში პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და შინაგან საქმეთა ორგანოებში მოღვაწეობისას შოთა გორგოძემ გამოავლინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა და ახალგაზრდა, პროფესიული კადრების აღზრდის საქმეში დაუშრეტელი ენერგია. იგი თადარიგში გასვლის შემდეგ გადაიყვანეს არანაკლებ საპასუხისმგებლო და პრესტიჟულ თანამდებობაზე — საქართველოს შსს აკადემიის რექტორად, სადაც დაგროვილ ცხოვრებისეულ დიდ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდა კადრებს — მომავალ წესრიგის დამცველებს.

ბ-ნ შოთა გორგოძეს ჰყავდა ქართული ტრადიციული ოჯახი, იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და მოსიყვარულე ბაბუა.

შოთა გორგოძის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია არა მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თაობის თანამშრომლებისთვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი უკვდავი სული.

კახა თარგამაძე, კობა ნარჩემაშვილი, ჯემალ გახოკიძე, ვახტანგ გვარამია,ზურაბ ჩხაიძე, თემურ მურღულია, თენგიზ შოშიაშვილი, შოთა ასათიანი, არძიმანდრიტი ილია (ალექსანდრე კავსაძე), ვასილ დავითაია, დავით სალარიძე, დავით ზეიკიძე, სოსო ალავიძე, მერაბ ბაღათურია, უშანგი მგელაძე, მიხეილ სალაძე, გივი ლოგჟანიძე, თენგიზ შუბლაძე, თეიმურაზ ლორია, ალეკო მიქაბერიძე, ტიტე ლეფსაია, გივი ნაცვლიშვილი, ბაადურ ჭანტურიშვილი, ზაურ ამილახვარი, გიორგი შერვაშიძე, ალექსანდრე ბაკურიძე, გიორგი ყურაშვილი, ვიქტორ გოგრონიძე, ზურაბ ჩიქავა, ვასილ კადენეცი, თორნიკე აფაქიძე, ზურაბ მაჩაიძე, გურამ ახალაია, ჯემალ ჯანაშია, ლევან კენჭაძე, რუბენ ასანიძე, მალხაზ ბაძაღუა, სოსო კობეშავიძე, მერაბ რაფავა.

სანთელი



გარდაიცვალა

გურამ გეგეშიძე.

მე ქედს ვიხრი მისი ბრწყინვალე ნიჭის წინაშე. ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებს და მის მკითხველს.

ნათელში აბრუნოს უფალმა!

რეზო ამაშუკელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი, გამგეობის წევრი

გურამ გეგეშიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ნუგზარ წერეთელი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, დიდი ქართველი მწერლის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის

გურამ გეგეშიძის

გარდაცვალებას.

გამოსვენება: 5 III, 14 სთ, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან.

მის: ს. ეულის 3, საპატრიარქოს ტელევიზიასთან

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი სამძიმარს გამოთქვამს ვეტერანთა კავშირის წევრის, ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსის, ბატონი

რამაზ ფირცხალაიშვილის

გარდაცვალების გამო.

და უსამძიმრებს ოჯახსა და ახლობლებს.

დავიცვათ ბავშვები ინტერნეტისგან!

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ინტერნეტში ბავშვებისა და მოზარდების საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან დაცვის მიზნით, დებულება დაამტკიცა და საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების წესები განსაზღვრა.

კომისიის გადაწყვეტილებით, ინტერნეტში ბავშვების დაცვის მიზნით, განისაზღვრა ვალდებულებები, როგორც ინტერნეტპროვაიდერი კომპანიების, ისე ვებგვერდების მფლობელი კომპანიების მიმართ. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში პირველი ივნისიდან შევა.

„კომუნიკაციების კომისია პირველი ივნისიდან მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი შვილები ონლაინ საფრთხეებისგან დაიცვან. მოგეხსენებათ, რომ მსგავსი ტიპის საფრთხეების შეფასებასა და შემცირებაში უპირატესი როლი სწორედ მშობელს აკისრია. იმისთვის, რომ მშობელს საფრთხეების შემცირების ეფექტიანი მექანიზმი ჰქონდეთ, ერთი მხრივ, ინტერნეტპროვაიდერ კომპანიებს დაეკისრათ ვალდებულება, შეიმუშაონ ისეთი მექანიზმები, რომლის საფუძველზეც, ექნებათ შესაძლებლობა, კონკრეტული (აბონენტის) მშობლის მოთხოვნით, შეზღუდონ ისეთ ვებგვერდებზე წვდომა, რომელიც საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის. მეორე მხრივ, კომისიამ ვებგვერდების მფლობელ კომპანიებს დააკისრა ვალდებულება, საკუთარ ვებგვერდებს მიანიჭონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდება, კერძოდ, რომელი ასაკობრივი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი მათ ვებგვერდზე განთავსებული აუდიო-ვიზუალური პროდუქცია“, — ნათქვამია კომისიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თეთნულდზე ზვავის მოწყვეტის შედეგად სამი იტალიელი დაიღუპა

როგორც მთის კურორტების განვითარების კომპანიაში აცხადებენ, იტალიელ ტურისტთა ჯგუფი თეთნულდის მიმდებარე ტერიტორიაზე, აკრძალულ ზონაში სრიალებდა, რის შედეგადაც მოწყდა ზვავი.

მათივე ინფორმაციით, სტიქიამ ექვსი ადამიანი მოიყოლა, მათგან ორი მაშველებმა ზვავიდან უვნებლად ამოიყვანეს, ერთს მრავლობით მოტეხილობები აღენიშნება, სამი კი მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს.

მთის კურორტების განვითარების კომპანია მოქალაქეებს მიმართავს თხოვნით, ნუ გადავლენ აკრძალულ ტერიტორიაზე სასრიალოდ, დაემორჩილონ ადმინისტრაციასა და სათხილამურო გზებზე მარკირებულ ნიშნებს.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

გულითადობით, კათცმოყვარეობით გამორჩეულს, სამშობლოსადმი, საკუთარი ხალხისადმი, ოჯახისა და ახლობელ-მეგობრებისადმი სიყვარულით გულანთებულს, ნაღდ თბილისელს, ჩვენი მეგობრების კიდევ უფრო მეტად შემდულაბებელს



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲐᲨᲮᲡ

70 წელი შეუსრულდა!

გულითადად ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ხანგრძლივ, ჯანმრთელ და სისხლსავსე ცხოვრებას ვუსურვებთ ყმაწვილკაცობიდან მოყოლებულ ჩვენს უძვირფასეს მეგობარს!

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ, ᲓᲐᲗᲝ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲐᲖᲐ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲩᲮᲣᲐ, ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲡᲣᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲐ ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ, ᲛᲘᲠᲐᲑ ᲡᲘᲒᲣᲐ

„ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ" ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ მეღვინეებმა ისტორიაში პირველად ვერ მიიღეს მოსავალი „ყინულის ღვინის" დასამზადებლად.

„ყინულის ღვინის" ან „აისვაინს" ვაზის ლერწამზე გაყინული ყურძნისგან ამზადებენ. თუმცა წელს, თბილი ამინდის გამო გერმანიის არც ერთ რეგიონში ტემპერატურა ამ სადესერტო ღვინის დასამზადებლად საჭირო მინუს 7 გრადუსამდე არ დაწეულა.

ბოლო წლების განმავლობაში კლიმატის ცვლილების გამო „აისვაინის" დამზადება სულ უფრო რთულდება. 2017 წელს გერმანიის 13 რეგიონიდან, სადაც ღვინოს ამზადებენ, შესაბამისი მოსავალი მხოლოდ 7-ში მიიღეს.

ᲫᲐᲦᲚᲛᲐ 20 ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲐᲖᲣᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ, ქალაქ დარლინგტონში 20 მიტოვებული ზაზუნა იპოვეს.

ცხოველები ერთ-ერთ პარკში ძაღლმა იპოვა და ადგილზე თავისი პატრონი მიიყვანა, რომელმაც ნახა, რომ ცხოველები საკვების კონტეინერებში იყვნენ მოთავსებულები. მღრღნელები ცხოველთა ერთ-ერთ თავშესაფარში მოათავსეს.

თავშესაფრის წარმომადგენელთა თქმით, ზაზუნებმა ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა გადაიტანეს, თუმცა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თავშესაფრის თანამშრომლებმა ისიც აღნიშნეს, რომ 14 ზაზუნას ახალი პატრონები უკვე გამოუჩნდათ.

ᲛᲝᲒᲛᲐᲠᲗᲐᲕᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი).

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲡ ᲙᲐᲚᲘᲔᲑᲘ ᲨᲔᲔᲡᲘᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲛᲐ შესაძლოა 100 ათასი იხვი გაგზავნოს მეზობელ პაკისტანში, სადაც კალიების შემოსევაა.

მომავალ კვირას ჩინეთის მთავრობა პაკისტანში ექსპერტების ჯგუფს გაგზავნის, რომელიც მწერებთან ბრძოლის მიზანმიმართული პროგრამის შექმნაზე იმუშავებს. გეგმის ეფექტიანობის დასადგენად ტესტები ჩინეთშიც ჩატარდება. ფრინველებს პაკისტანში მხოლოდ ამ პროცედურების შემდეგ გაგზავნიან. ექსპერტების თქმით, ერთ იხვს დღეში 200 კალიაზე მეტის შეჭმა შეუძლია, რაც პესტიციდების გაფრქვევაზე ეფექტურია.

მთავრობის გეგმამ ჩინეთის სოციალური ქსელები გაახალისა. **„წინ, იხვებო! იმედია ცოცხლები დაბრუნდებით",** — დაწერა Twitter-ის მსგავსი მიკრობლოგის Weibo-ს ერთ-ერთმა მომხმარებელმა. **„გმირი იხვები მტრის პირისპირ",** — წერს მეორე.

თუმცა სპეციალისტთა ნაწილი ამ ინიციატივას სკეპტიკურად უყურებს. მათი თქმით, იმის მიუხედავად, რომ იხვებს კალიებთან საბრძოლველად უძველესი დროიდან იყენებდნენ, შესაძლოა, მათ პაკისტანში გაუჭირდეთ, რადგან წყალი სჭირდებათ, იქ კი ძირითადად უდაბნოში მოუწევთ „მუშაობა". საბოლოო გადაწყვეტილებას ჩინეთის მთავრობა ტესტირების დასრულების შემდეგ მიიღებს.

ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲢᲝᲠᲜᲐᲓᲝ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ტენესის შტატში ტორნადოს შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 30-მდე გაიზარდა.

ხელისუფლების ცნობით, სტიქიის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ძებნა ამ დრომდე გრძელდება.

ტორნადოს შედეგად დაზარალებული 150 ადამიანი გადაიყვანეს. დაინგრა 48 შენობა. დაზიანებულია ხიდები და ქუჩები. ნეშვილის აეროპორტში ერთმანეთს რამდენიმე თვითმფრინავი დაეჯახა. ტენესის შტატის 74 ათასი აბონენტი ელექტროენერგიის გარეშე რჩება.

დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ 6 მარტს დაზარალებულ რეგიონში ჩასვლას აპირებს.

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ძლიერი წვიმისა და მეწყერის შედეგად 23 ადამიანი დაიღუპა. 30 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. სტიქია სან პაულოსა და რიო დე ჟანეიროს შტატებს დაატყდა თავს.

გარდაცვლილებს შორის არიან სულ მცირე ერთი ბავშვი და რამდენიმე მეხანძრე-მაშველი.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ მსხვერპლთა რიცხვი შესაძლოა, კიდევ გაიზარდოს.

მეწყრის შედეგად ათობით სახლი დაინგრა. ნანგრევებში სავარაუდოდ, იმყოფებიან მოქალაქეები. სტიქიის შედეგად ჩახერგილია რამდენიმე ავტომაგისტრალი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:

შპს „ახალი საუკუნე" — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"

599 53-76-16; 599 36-00-35

შპს „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"

ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა

„ᲙᲝᲚᲝᲠ ᲞᲠᲔᲡᲨᲘ"

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323

ISSN 2233-3851

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ" ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲥ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲜᲐᲮᲐᲕ!

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:

ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7835; ᲔᲕᲠᲝ - 3.0858;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.5581;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.1660; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4451;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6338;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 5.8080.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 5 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲦᲐᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+1,	ᲓᲦᲔ	+22
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	-3,	ᲓᲦᲔ	+19

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:

ᲦᲐᲛᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+26
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2	ᲓᲦᲔ	+23
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+3,	ᲓᲦᲔ	+21

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:

ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84

ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru

ᲓᲐ sakresp@top.ge

ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge